დროება

ISSN 0130—1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა

150



თუ სკოლას უნდა თავისი დანიშნულება
შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის
წვრთნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი იმ თვისების
სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების
გახსნილობასაცა შველის და ზნე-ხასიათის
წვრთნასა და დამთავრებასაც უხდება და რგებს.

ილია



* * *

დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინია,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი;

რომ ჩემს საფლავზედ დაეუდებულმან
ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა,
მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა:

იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა;
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

19 ნოემბერი, 1858 წ.
პეტერბურგი.

* * *

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

დაუინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი, — მიხარიან, რომ ეგრეთ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..

6 აგვისტო, 1861 წ.
ყვარელი.

* * *

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!

წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცები,
მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია...

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!
მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ, რად მოგიწყენია?

15 სექტემბერი, 1872 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

დროშა

№ 9 (609), სექტემბერი, 1987

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნომერში:

ოთარ ქინქლაძე. ილია.
ილია ბერეშვილი. სადაც დაიბადა...
ნანა ღვინეფაძე. აქ უცხოვრია ილიას.
მიხეილ ჯავახიშვილი. ილიაობა.
ვასილ გვეტაძე. საგურამოში.
გიორგი საყვარელიძე. „გაადამიანება კაცისა“...
ვასილ მჭედლიშვილი. რადგან...
ლევან სანიკიძე. „დედა ისტორია“ (ნაწყვეტი წიგნიდან)
„ივერიის“ ფურცლებზე.
შოთა გადრიძე. „ჩვენო დიდო ნუგეშო!..“
ლალი მარტაშვილი. იყო კაცი...
შალვა მარკოზაშვილი. სკოლა ილიას ნაფუძარზე.
თენგიზ გიორგაძე. უყვარდა ჭადრაკი.
ფრაგმენტებიანი კროსვორდი.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1987 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქინქლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერეშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, ვასილ მჭედლიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია

ყვარელი.
1837 წელი.
ილიას დაბადება...
გაივლის ოცი წელი და იგი ყვარლის მთებს ეტყვის:
აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი.
გაივლის კიდევ ოთხი წელი და:
ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად, — მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.

საოცარია!

ისეა ნათქვამი, რომ გინდა ირგვლივ მიმოიხედო და ხმამაღლა, ყველას გასაგონად შესძახო:

— არ გვინდა ტაში!

— ჩვენ უნდა ერთგულად ვემსახუროთ ერს, ქვეყანას, მის აწმყოსა და მომავალს!

— ჩვენ უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი!

— წმინდა სიტყვა უნდა ვთქვათ და ვთქვათ უშიშრად!

და კიდევ:

— ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.

დრო კი დიდია გასული.

ტაშმაც და „მხურვალე ოვაციებმაც“ ბევრი დრო წაიღეს.

ილია კი დღესაც ჩვენთან არის. იგი ჩვენ გვერდით მოაბიჯებს და კვლავ გვირჩევს, გვარიგებს, გვასწავლის.

კაცური კაცობით ცხოვრებას გვასწავლის.

— კაცია ადამიანი?!

უნდა იყოს.

დედაკაციც.

და, რაღა თქმა უნდა, მამაკაციც.

არ არის იოლი კაცური კაცობის გზით სიარული.

არც არასდროს ყოფილა.

ახლაც არ არის იოლი.

ეს ილიამ თავადაც კარგად იცის. ამიტომ გვარიგებს.

ჩვენ გვარიგებს:

— თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ყიდულობდეს თვითეული თავის კერძს ცხოვრებისას, და კეთილის მოქმედიც იქნები, რადგანაც ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა. შეძლებისამებრ იღვაწე და იმოქმედე კეთილი — სხვას ამის მეტს არასა სთხოვს ქვეყანა თავის შვილსა.

მშობელი ქვეყნის ეს თხოვნა შვილებმა უნდა შეავსრულოთ.

ეს ჩვენი წმინდა ვალია.

მაგრამ, მამულიშვილური მოვალეობა რომ პირნათლად მოვიხადოთ, ილიამ ესეც გვითხრა და გვირჩია კიდეც:

— შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი — ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება.

ამ მხრივ, ჩვენ ყველაფერი რიგზე არ უნდა გვქონდეს.

სადღაც რაღაც შეგვეშალა.

ყველამ კარგად ისიც არ ვიცით, ვინ და სად, რაზე შეჩერდა. ვერც ის გავარკვიეთ, ვინ და რაში იყო მართალი, ან ცდებოდა და არ იყო ამიტომ სწორი. ზოგჯერ ვერც ავისა და კარგის დროულად გარჩევა მოვახერხეთ, რასაც თან, არცთუ იშვიათად, ღირებულებათა გადაფასება სდევდა.

აკი ილიაც დადარდიანებული წერდა:

— ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვითნებასა, თავის მონაწილეობას ისტორიაში. ერთი სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდაუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა.

შიდა-საქმეთა!

საბჭოთა საქართველოს ისტორიულმა სკოლამ ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით ბევრი იღვაწა და შედეგიანადაც.

მაგრამ.

ჩვენ მაინც ვერ შევძელით ფარდა აგვეხადა საქართველოს შიდა-ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის.

ისტორია სრულ, ობიექტურ ჭეშმარიტებას ითხოვს.

სხვაგვარად იგი, — ფარდააუხდელი, — ისტორია აღარ არის.

ისტორიას თვალი უნდა გავუსწოროთ.

ამ საქმის გადადება ახლა მაინც უკვე აღარ გვარგებს.

ჩვენ უნდა წმინდა, მართალი სიტყვა უშიშრად მოვფინოთ ხალხში.

ახლა მაინც.

და რჩევა ისევ ილიას ვკითხოთ.

ვინ-ვინ და ილია არ შეგვაცდენს:

— ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა, წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც ძაგათი გამომეტყველია, ყველაფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია. ასე რომ, კიდეც გვიკვირს ადრინდელს კაცს როგორლა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის — თეთრი.

აი, ასე: შავს შავი უნდა დავარქვათ და თეთრს — თეთრი.

ეს უნდა ვისწავლოთ. ბეჯითად და კარგად ვისწავლოთ.

ვისწავლოთ და ვასწავლოთ ბავშვობიდან.

რამეთუ ყველაფერი ბავშვობიდან იწყება.

ეს ძველისძველი ხატოვანი გამოთქმა დღეს, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, მისი განახლებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროცესში, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის შინაარსს იძენს.

უკვე შეიძინა.

და ერთბაშად ცხადი გახდა, რომ ილია ცუდად გვისწავლია, რომ ვერ ჩავწვდით მის სიღრმეს და ვერც მისი ნააზრევი აღვიქვით მთლიანობაში. ამიტომ რაღაც ვერ გავიგეთ, სადღაც ეჭვი შეგვეპარა, ზოგი რამ საერთოდ არ ვიცით და სხვა მრავალ მიზეზთა გამო ბევრი საგულისხმო, საჭირო, აუცილებელიც კი არ გაგვითვალისწინებია.

ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა.

ილიასათვის დღევანდელი, მაშინ 1886 წელი იყო:

— ვინ არ იცის, რომ ვინც ჩვენში ლუკმა-პურის შოვნის ზრუნვას დროს დაარჩენს და მოიცლის, მარტო იგი იღებს კალამს და სწერს, და ისიც მარტო მაშინ, როცა მოცლილია.

მოცლილია?

არა. ეს სხვა მოცლა იყო. ისეთი, რომელიც საერო, საქვეყნო, საზოგადო საქმის კეთებისაგან თავისუფალ დროს ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში დაღლილ, გავარჯიშებულ და აღგზნებულ გონებას ხელში კალამს ააღებინებდა და... იწერებოდა ის, რასაც ჩვენ დღესაც ვსწავლობთ.

კვლავაც ვისწავლით.

საერო საქმეებისაგან „მოცლილ“ ილიას კალამს კი იმ დროისათვის უკვე ბევრი რამ მოესწრო. მათ შორის: „მგზავრის წერილები“, „კაცია-ადამიანი?!“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „სარჩობელაზედ“, „ქართვლის დედა“, „გლახის ნაამბობი“, „გან-

დეგილი“ და სხვა მრავალი. 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ქართული მხატვრული პროზის შედევრი „ოთარაანთ ქვრივი“. ეს იყო უკანასკნელი დიდი მხატვრული ტილო, რომელიც ილიამ შექმნა.

შექმნა საერო, საქვეყნო, საზოგადო საქმეებისაგან „თავისუფალ“ დროს.

მარტო იგი იღებს კალამს და სწერს, ვინც მოიცლისო.

ილია როდისღა იცლიდა?

კოტა აფხაზის მოგონებიდან:

— სტუდენტობის პერიოდში ილია თვითგანათლებას დაეწაფა, დღე-ღამეში 18-20 საათს მუშაობდა, და რამდენჯერ მინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ილია ისმენდა პროფესორ დავით ჩუბინაშვილის ლექციებს. მისი საყვარელი პროფესორები იყვნენ ნ. ი. კოსტომაროვი, მ. მ. სპასულევიჩი, ვ. დ. სპასოვიჩი, კ. დ. კაველინი.

და მაინც თვითგანათლება.

დღე-ღამეში 18-20 საათი მუშაობა.

ხოლო „თავისუფალ“ დროს ილია წერდა და... თარგმნიდა ა. ს. პუშკინს, მ. ი. ლერმონტოვს. განსაკუთრებულ პატივს იგი ალექსანდრე პუშკინს მიაგებდა და მიიჩნევდა ისეთ პოეტად, რომელმაც პირველმა დაანახვა რუსეთს სიტურფე და სიტკბო რუსულის ლექსისა და სიტყვიერებისა. სტუდენტობის წლებშივე შეისწავლა და საფუძვლიანადაც ილიამ რუსული და ევროპული ლიტერატურა, აგრეთვე ფილოსოფია და თარგმნა ვალტერ სკოტი, ფრიდრიხ შილერი, ანდრე შენიე, თომას მური, ჰეინე, გოეთე და, რაღა თქმა უნდა, ბაირონი.

განსაკუთრებით დიდ პატივს სცემდა ილია ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლიუბოვს.

— მათის მართლა დაუვიწყარის ღვაწლით, მაგ თამამმა უარმყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განზედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ ახალ მიმართულების მესვეური იყო სახელოვანი „სოვრემენიკი“.

უფრო მოგვიანებით ილია იტყვის:

— რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ.

სტუდენტობის წლებში დაიწერა „ქართვლის დედას“, „მუშა“, „გუთნის დედა“. ილიას შემთხვევითმა შეხვედრამ 1857 წელს ყაჩაღ გაუხარაშვილთან გვაჩუქა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“.

და „აჩრდილი“ — პოემის პირველი ვარიანტი დაწერილია 26 იანვარს 1859 წლისა, პეტერბურგს.

ილია:

— და მომევლინა მე კაცი დიდი, მყინვარზედ მდგომი მოხუცებული.

— მაგრამ საკუთრად არცა არაგვმა, არც თერგმა, არც ტყემ და არცა მთამა არ მიიზიდა მოხუცის თვალი.

— სრულ საქართველო მოჩანდა შორსა... იგი მოხუცი მას დააცქერდა.

მაინც რა გინდა, მოხუცო, ჩვენგან?

რას ხედავ შენ იმა მთაზედ მდგარი ისეთს, რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ?

იმა მოხუცის დიდებული ხმა:

— აგერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძვნიათ, ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან, ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ და ერთმანეთს კი არ ენდობიან. ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ, თუმც ერთისათვის თითქო იღვწიან; თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ, თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.

აგერ კიდევ:

— ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება, ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!

— აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით მოძმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა, და ძმა მის მოკვდეს თუნდა შიმშილით, უნაღვლოდ განვლის ცხოვრების ხიდსა.

აგერ ტფილისიც!..

— ერთგზის შეჰხედავ და იქ ცხოვრება მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება: ჭლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ, ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედებენ, ჰხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან ეღვივილს, უბედურ ცრემლთან ბედნიერ ღიმილს, — მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს თუ გრძნობას, ჭმუნვას, სიხარულს თუ მოქმედობას, ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი და ყველა იგი თვალთმაქცი არი.

მაგრამ, როდემდე?

— ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული, ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას.

და მაშინ:

— ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთმოყვარება და სათნოება.

საუკუნეზე ბევრად უფრო დიდი დრო გავიდა მას შემდეგ.

1987 წლის 27 იანვარს ჩვენ მაინც მოგვაგონეს:

— ადამიანებს პატივს უნდა ვცემდეთ, ამხანაგებო, და მეტად ვენდობოდეთ.

— კაცია ადამიანი?!

— გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარის წვრთნისა, ზრდისა და განათლებისა. კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლეობა მარტო ზნეხასიათისგან ეძლევა ადამიანს.

ილია განაგრძობს ჩვენს შეგონებას და განაგრძობს ისეთი დაჟინებით, თითქოს შიშობს და დაეჭვებულიცაა — ვაითუ ახლაც არ დამიჯერონო.

უნდა დავუჯეროთ.

1861 წელი — ილია საქართველოში დაბრუნდა.

1863 წელი — ილიამ დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. აქ იხილეს პირველმა მკითხველებმა „კაცია-ადამიანი?!“.

ილია — ქუთაისის გუბერნიის საგანგებო მინდობილობათა მოხელე.

ილია — დუშეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე.

ილია — სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე.

ილია — გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი.

იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებიდან:

— დაუღალავი მუშაკი იყო ილია. „ივერიის“ გამოსვლის პირველ ხანებში ისე მუშაობდა, გეგონებოდათ, ოცი წლის ჭაბუკიაო. 2-3 საათიც რომ ყოფილიყო ღამისა, ძილი და მოსვენება ფიქრადაც არ მოუვიდოდა, ვიდრე ახლად დაბეჭდილს, ყველველს გაზეთს არ მიუტანდნენ.

ილია — ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე.

— ილია — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე.

როდისღა იცლიდა ილია?

როდის იღებდა ხელში კალამს?

როდის დაიწერა: „საქართველოს მოამბეზედ“, „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“, „ერი და ისტორია“, „პედაგოგიის საფუძვლები“, „საზოგადოება და ზნეობა“, „ქვათა ღაღადი“...

ილიას გვერდით და მასთან ერთად კი იყვნენ აკაკი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი...

და მაინც.

ტფილისი. 9 იანვარი. 1886 წელი.

— ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა: ეგ საგანი მწვავე ტკივილია დღევანდელის დღისა, დღევანდელი დღის ვარამია.

ეს მაშინ.

ახლა?

ჩვენ გასაგონად ილიამ აი რა გვითხრა:

— ლიტერატურული მოღვაწეობა ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ დღე-მუდამ უკან უკან დევნა უნდა, დღე-მუდამ მის სფეროში ტრიალი, დღე-მუდამ ფიქრსა და ტვინის მოძრაობაში უნდა იყოს მისი მიმდევარი კაცი.

არ დავუჯეროთ?

ილია დაჟინებით განაგრძობს ჩვენს შეგონებას.

იმის იმედი აქვს, რომ გამგონი გაიგონებს და გაიგებს კიდეც.

ის, რაც ილიას სტკივა, დღევანდელი დიდი სატკივარიცაა.

ილია:

— თუ სკოლას უნდა თავისი დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წვრთნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი იმ თვისების სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების გახსნილობასაცა შველის და ზნე-ხასიათის წვრთნასა და დამთავრებასაც უხდება და რგებს.

— ეს ამისთანა აზრი სკოლის მოვალეობად ახალი ამბავი არ არის, ამის სათავეს საშუალო საუკუნეებში ვპოულობთ და მაშინდელ დიდბუნებოვან კაცებს არაერთხელ წარმოუთქვამთ. თუ რა ახირებულია კაცობრიობა ყოველ იმაში, რაც ერთხელ დაუჩემებია, ამას გვიმტკიცებს ამ აზრის ისტორია: აბა, ამ ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში გაღვიძებულ აზრს ამ მეცხრამეტე საუკუნეშიც თავისი კუთვნილი ადგილი ვერ დაუჭერია.

მას შემდეგ ასმა წელმა განვლო. მთელი ერთი საუკუნე გავიდა. ილია ჭავჭავაძის „პედაგოგიის საფუძვლები“ გაზეთ „ივერიაში“ 1888 წელს დაიბეჭდა.

კაცობრიობამ კი ცხოვრება მეოცე საუკუნეში განაგრძო.

ილიას კიდევ შეეძლო ეკითხა: — საშუალო საუკუნეებში გაღვიძებულმა აზრმა ვეღარც მეოცე საუკუნეში დაიჭირა თავისი კუთვნილი ადგილიო?

შეეძლო.

არ აცალეს.

ჩვენ უნდა ვუთხრათ:

— შუა საუკუნეებში გაღვიძებულმა აზრმა თავისი კუთვნილი ადგილი ვერც მეოცე საუკუნეში დაიჭირა.

მაგრამ ილიას ისიც უნდა ვუთხრათ, რომ მეოცე საუკუნემ უმთავრესი მისეული სატკივარი წარსულს ჩააბარა და ის ნატვრაც აღასრულა, რომ:

— შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის.

უნდა ვუთხრათ რომ:

— შემფერხებელი კაცთა ცხოვრების იგი ბორკილი დაიმსხვრა.

რომ ჩვენ:

— ჩვენს ენას ჩვენში სავარჯიშოდ დიდზე დიდი მოედანი მივეცით;

— ნატვრა საუნივერსიტეტო განათლების თაობაზე სინამდვილედ ვაქციეთ;

— ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. ვიცით საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაქაფარიც ბლომად;

— ისიც ვიცით, რომ ვაჭრობა და მრეწველობა ძალ-ღონეს შეადგენს ერისას;

— ჩვენი საკუთარი სცენაც გვაქვს. ისეთი, რომელიც მსოფლიომ აღიარა.

— დღენიადაგ ვზრუნავთ, რომ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება ჭეშმარიტებას, და დაე არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი, დაე ორივემ იაროს ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ ამ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება, რა ვუყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენი ცხოვრების სასახელოდ.

— ჭუჭყი მოვიშოროთ!

ესეც ილიას სიტყვებია. ამ ასოცდახუთი წლის წინ ნათქვამი.

დღესაც საფიქრალს რომ აღძრავს — ისეთი სიტყვები.

გარდაქმნის, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების პროცესმა, რასაც დასაბამი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა მისცა, წინა პლანზე წამოსწია ზნეობრივი გაჯანსაღების პრობლემათა მთელი კომპლექსი. იგი, განვლილ ათწლეულებში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოვლენებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დაშვებული შეცდომების საზღაურია.

— კაცია ადამიანი?!

ამ კითხვაზე პასუხისათვის ილიამ ერთი გონიერი ანდაზა მოიშველია: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“.

ყველა დროში და ნებისმიერ გარემოებაშია გასათვალისწინებელი ყოველივე გონივრული.

ილია:

— ჩვენა გვგონია, სიკეთე ჩვენი ეკონომიურის ამაღლებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედულეთი, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს — აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიპოვება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრობელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზოგადოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძღოლია მტერს ასე თუ ისე.

ვერ ასცდა, სამწუხაროდ, ქართველი კაცი — მიწათმოქმედი კაცი — საყოველთაო ცდუნებას და თანდათან აქცია ზურგი მიწას, რომელიც უფრო მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ.

— რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ილია:

— ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კიარა. ოფლის ღვრისა — ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის, კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს კი არა ჰგავს [illegible] და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს [illegible] „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არ სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, — იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედ გამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი!.. თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი რომ არა!.. მაშ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ისევ ილიას მოვუსმინოთ:

— ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმკვიდრე, მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმომწონებით თქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი მიწა მაქვს საღღეისოთაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკვლად და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერთად შექმნის.

და ისევ დავფიქრდეთ.

ილიასთან ერთად ვიფიქროთ.

დრო კი მიდის.

ილიამ მეოცე საუკუნეში შემოაბიჯა.

დაიღალა.

1900 წელი. ზაფხულსა და შემოდგომაზე ილია გერმანიასა და ავსტრიაში მკურნალობს. 1901 წელს — საფრანგეთში.

არტურ ლაისტის მოგონებიდან:

— ევროპაში ყოფნის პერიოდში ილია დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და აკვირდებოდა გერმანელების ცხოვრებას და კულტურას, მათ ყოველ წვრილმანს აქცევდა ყურადღებას, მაგრამ ღვიძლი სამშობლო მაინც ძლიერ იზიდავდა თავისაკენ. უცხოეთიდან დაბრუნებული ილია, როცა თბილისს მიუახლოვდა, ისე მოხიბლულ იქნა საყვარელი ქალაქის ხილვით, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა.

ცრემლმორეული ილია.

და მტირალი საქართველო.

მაგრამ ეს მერე იქნება.

ერთი წლის შემდეგ.

1907 წლის 30 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათსა და 30 წუთზე. წიწამურის გზაზე.

მანამდე დრო კიდევ არის.

ცოტა დრო.

1906 წელი — ილია სახელმწიფო საბჭოს წევრი.

ილია:

— სახელმწიფო საბჭოში მე ამირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავადაზნაურთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი, — ეს დიდი შეცდომაა, სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები.

ილია დღესაც საქართველოს და ქართველების ინტერესებს იცავს.

ახლებურად განვჭვრიტოთ ზოგიერთი თეორიული წარმოდგენა და კონცეფცია.

ილიას ნააზრევს რომ შეეხება ისიც.

ახლებური მიდგომა, ხედვა, ფსიქოლოგია, შეგნება იმასაც მოითხოვს, რომ ჩვენი მამების სულიერ მემკვიდრეობასაც ახლებური გაგება, გააზრება და შეფასება სჭირდება.

და დაფასებაც ახლებურია საჭირო.

ილია დღეს.

ილია ჩვენთან ერთად.

ილია მადლიერი შთამომავლობის სულიერ სამყაროში.

აწ და მარადის!

ოთარ ქინქლაძე.

ალაზ ლიტალა...

ეუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენი ქვეყნის მოყვარე კაცი დიდი სიყვარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს, — უთქვამს თავის დროზე ილიას. ეს სიტყვები მთლიანად ესადაგება იმ ადამიანებს, რომელთაც მართლაც ითავეს და 1937 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ყვარელში დააარსეს მემორიალური მუზეუმი.

ამის სულის ჩამდგმელი და მოთავე იყო საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის მაშინდელი დირექტორი გიორგი ლეონიძე.

ორმოცდაათი წელი გავიდა მუზეუმის დაარსებიდან. ამ ხნის განმავლობაში მან დიდი როლი შეასრულა ილიას მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისებასა და პოპულარიზაციაში. აქ მოდიან ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. ნახულობენ უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები და ქართული კულტურით დაინტერესებული პირნი.

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ილიამ ყვარლის კარ-მიდამო ანდერძით დაუტოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ისიც ცნობილია, რომ ამ საზოგადოებამ ვერ შეძლო მისი მოვლა-პატრონობა. ამის თაობაზე ჯერ კიდევ 1913 წელს ჟურნალ „კლდის“ ყვარლელი კორესპონდენტი წერს:

— თქვენ მტერს არ ეღირსოს იმის ნახვა, რაც თვალწინ წარმომიდგა სოფელ ყვარელში... წისქვილის რუს ვებერთელა წყალი შრიალითა და გრიალით მაღლიდან ისე გაბრაზებული მიექანებოდა ეზოში, რომ სხვას ვერას იფიქრებდი, გარდა იმისა, რომ ეს წყალი განგებ არის გადმოგდებული მტრის ხელითო...

ამაღელვებელია აგრეთვე ილიას მარნისა და ქვევრების ისტორია. ყვარლის საზოგადოების ერთმა ნაწილმა უგულვებელყო ამ ეზო-კარის მეურვე და მეპატრონე — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მის დაუკითხავად გადაწყვიტა დაპატრონებოდა ამ ეზო-კარს და იქ არსებული ნაგებობანი გადაეკეთებინა სხვადასხვა დაწესებულებად.

ამ ეზო-კარის იავარქმნის ისტორია გრძელია. მოკლედ ვიტყვით: იმ ქარიშხალმა, რომელმაც ილიას სიცოცხლეს გადაუარა, გადაურა მის კარ-მიდამოსაც, სადაც თვალი აახილა და ფეხი აიდგა ერის დიდმა მოძღვარმა. ამის გამო იყო, რომ მუზეუმის დამფუძნებელნი იმხანად დაკმაყოფილდნენ ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი ორსართულიანი ნაგებობით, რომელიც საგვარეულო კოშკში და მასზე მიშენებულ დერეფანში იყო მოთავსებული.

მუზეუმის დირექციამ ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინ დააყენა მემორიალის აღდგენის საკითხი. ამ იდეას ყოველ ინსტანციაში მხარი დაუჭირეს, თუმცა, რა დასამალია-და, ძლიერ კი გაჭიანურდა ეს საქმე.

საჭირო გახდა აშენებულიყო საგანგებო ნაგებობა, სადაც მოეწყობოდა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ექსპოზიცია.

მართლაც, 1978 წელს ეზოს არამემორიალურ ნაწილში აშენდა საგამოფენო დარბაზი, ფონდსაცავი, ბიბლიოთეკა, დირექცია, საექსპოზიციო და სალექციო დარბაზები. ამის შემდეგ საქართველოს ბუნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველოს მიერ დამუშავდა მემორიალის ბინა-სადგენ ნაგებობათა პროექტი. ამჟამად მუზეუმში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ამ პროექტის განსახორციელებლად.

სრულყოფილად არის აღდგენილი ის სამსართულიანი ციხე-კოშკი, რომლის მეორე სართულშიაც, მტრული შემოსევის დროს, ბრძოლის ცხარე წუთებში, დაიბადა გრიგოლ ჭავჭავაძის მესამე შვილი, რომელსაც ილია შეარქვეს. ასეთი დაბადებაცა და თვითონ სახელიც სიმბოლური გამოდგა (ილია ხომ ბერძნულად ციხე-სიმაგრეს ნიშნავს).

და აი, წლების მერე, ეს ჩვილი მართლაც იქცა ერის ციხე-ბურჯად, სიმაგრედ და მცველ ფარად. გაუტეხელი ბრძოლის უნარი და ძალა, მამაპაპეულმა ციხემაც დაანათლა. დავით კასრაძის თქმისა არ იყოს: თუ ილია მიწაზე მოსიარულე ღმერთად მიიღო ხალხმა, მაშინ ეს ციხე-კოშკი საქართველოს ბეთლემი არის.

...რესტავრირება მიმდინარეობს ილიას მშობლების იმ ბინისა, სადაც ბავშვობა და ყრმობა გაატარა პოეტმა. აქ ისმენდა დედის იავნანას. გონებაში ილბეჭდავდა ზღაპრებსა და ლეგენდებს, ტკბილად რომ უამბობდა დედა.

აღდგენილია ის წისქვილიც, სადაც ყრმა ილიას მოუსმენია მოხუც მეწისქვილეთა ზღაპრები. აქვეა სათონე, ბეღელი. აღდგენილია ის მარანი, რომელიც ქართველი კაცისათვის მარტო ღვინის საცავი კი არ იყო. ზოგჯერ წმინდა ტაძრის როლსაც ასრულებდა... და, როცა მტერი ტაძრებს გვიქცევდა, მოუნათლავთ მარანში ნათლავდნენ, მექორწინენიც აქ იწერდნენ ჯვარს. აქვე ინახებოდა საღმრთო ზედაშეებიც. ყოველივე ამას მაგიური ძალა ჰქონდა ქრისტიანი ქართველი კაცისათვის.

როგორც ცნობილია, ილიამ მხოლოდ თერთმეტ წლამდე იცხოვრა ყვარელში. მის ნაკვნარ მიწასთან, სოფელთან, ხალხთან კავშირი არც მერე გაუწყვეტია, მაგრამ იგი თითქმის სტუმარი გახდა თავისი სახლისა. მან ვერ შეასრულა ახალგაზრდობის დროინდელი ოცნება, რომ ყვარელში დასახლებულიყო თავის საყვარელ ოლიკოსთან ერთად. ვერც მოხუცებულობაში ნატვრად ქცეულ ფიქრს შეასხა ფრთები — სიცოცხლის ბოლო წლები ყვარელში უნდა გავატაროო. ამიტომ შეიძლება ცოტა გულნატკენიც კია მისი ნაკვნარი მიწა, მისი მშობლიური ძირი და ფუძე. ეგებ ამის გამოა, რომ ზოგიერთებს ებადებათ კითხვა: რა მისცა ყვარელმა ილიას?

ამ კითხვის პასუხის გაცემაზე მე თავს შევიკავებ. სჯობს ვაჟას მოვუსმინოთ. აი, რას გვეუბნება ვაჟა:

— დიდი საქმეა მწერლისათვის ცნობდეს იგი თავის ფესვებს... ხოლო ფესვები მწერლისა მისი სიყრმის დროის სიცოცხლეშია გართხმული.

ცოცხლობს დიდი ილია. ღვივიან ფესვები, ნედლი და ცოცხალი, ასე ღრმად და მკვიდრად რომ გაბრჯნილა ამ ბევრისმნახველ მიწაში. ხვდება გამზრდელი ყვარელი ასორმოცდაათი წლის უკვდავ შვილს თავისსავე კარ-მიდამოში.

ილია ბეროშვილი,
ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

ჯაფოსათვლოვანი სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალმოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწალმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო“? გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა სირცხვილიც ენას მიბამს, ვეღარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით ძმაო! — გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდენ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!...

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაღადებენ, იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ვეღარც არას დაკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს. თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ

და ბგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ!

როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზი ხალხის ამოძრავებისა და აბა, საქართველოს ყოველი კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს!.. და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობასა და სიყვარულს!

მშვიდობით, ძმაო!.. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!..

აკაკი

ვერ მოჰკლეს...

ვაჟა-ფშაველა

ილია რო მოჰკლეს! — მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მწუხარე და თან გაკვირვების კილოთი.

თავზარი დამცა ამ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვა აღმიძრა: ვინ მოჰკლავდა, ნეტავ, ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანების მოკვლა? ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულს, თავის ერისათვის მოჭირნახულე ადამიანს? იქნებ უცხოელებს შეჭშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთადერთი ბურჯი ჩვენი ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით? ათასი ამისთანა კითხვა დამებადა თავში და დღესაც კი, დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება, არ ვიცი მიზეზი ილიას სიკვდილისა.

ვიცით მე და თქვენ, მკითხველო, მხოლოდ ფაქტი, რომ მოგვიკლეს საუკეთესო, პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე, დიდი მოამაგე ქართველ ერისა. რომელი ერთი ჩამოვთვალო ილიას ღვაწლთაგანი? ეს ყველამ კარგად უწყის. საშინელი, მეტისმეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში არ მომხდარა და არც მოხდება! მხოლოდ საწყალს, უბადრუკს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთანა მკვლელობა...

საზარელი ფაქტია, საზარელი მოქმედებაა, საშინელი აზრის პატრონნი უნდა იყვნენ ამ მკვლელობის ჩამდენნი. აშკარაა და აშკარად ვიტყვი: ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ.

აბა კარგად ჩაუკვირდით საქმეს, თუ ასე არ არის. დიაღ, ასეა და ეს არის კიდეც უბედურება, დიდი უბედურება, ჩვენს თავზე მოვლენილი. უგუნურთ ნუთუ არ იციან, რომ საუკეთესო ადამიანების ხოცვა, კვლა, მოკვლაა მთელის ქვეყნისა. სოფელი ვინ და ერთი კაციო. ნუთუ იქამდის დავკნინდით, დაეკარგეთ ადამიანობა, ნამუსი, დავიბრმავეთ გონება, რომ ამისთანა აზრები ღორძინდება საქართველოში? ნუთუ ვისმე ფანატიკოსებს ჰგონიათ, რომ ილიების ხოცვით მოჰკლავენ თვით იდეას, რომელიც უკვდავია და, რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიათ ემსახურონ და არა უძლურთ, უნიჭოთ, უვიცთ და საზოგადოების ნაძირალებს! ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში, ხოლო ჩვენ კოცონზე ვწვავთ, ვკლავთ, როგორც ავაზაკებს... საბრალო ჩვენო თავო, საწყალო საქართველოვ!

რა ვთქვათ მკვლელებზე, ამ საცოდავს მეოცე საუკუნის ჰეროსტატებზე? რა ადამიანები უნდა იყვნენ ილიას მკვლელები? როგორ მოვიხსენიოთ ისინი? როგორ მოვექცნეთ ამ უბადრუკებს? ნუთუ ისე, როგორც გვირჩევს ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველთადმი— ცეცხლი და მახვილი მკვლელებსაო. ესღა გვაკლია, რომ ბარბაროსობას კიდევ სხვა ბარბაროსობა დავურთოთ ზედ, დავერიფნეთ ერთმანეთს, ვხოცოთ, ველიტოთ ერთმა მეორენი და გავახაროთ ისედაც ჩვენის უბადრუკობით გალაღებული მტერი? ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა გვაშოროს ამისთანა საქციელი...

ნაღვლით და ბოღმით აღსავსე მე ასე ვსჯი, რომ ილიას მკვლელნი შესაბრალისნი, ყოვლად საწყალნი, ყოვლად გამოთაყვანებულნი, უვიცნი, ზნეობით გათახსირებულნი და ბრმანი უნდა იყვნენ, სატირელნი და სავალალონი ჩვენ ქართველებისაგან.

სხვა რა ვთქვათ? სხვა რა ვიფიქროთ? სისხლი სისხლისთვის? ცოდვა მივუმატოთ ცოდვას? სირცხვილს — სირცხვილი? განა იმათ ადამიანებისა ერთი ბეწო ნიშანწყალი რომ ჰქონდეთ, იზამდნენ ამას? მოჰკლავდნენ ამისთანა ადამიანს, რაც უნდა მისგან ნაწყენნიც იყვნენ? არა. არ არიან ისინი ადამიანები, უნდა შევრაცხოთ მხეცებად, პირუტყვებად, და პირუტყვებზე როგორ ვიძიოთ შური, ისე, როგორც ადამიანზე. ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირებაა?

მოჰკლეს ილია!.. მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია, ვიდრე საქართველო იქნება. დიაღ, ვერ მოჰკლეს, რადგან თუ რამდენიმე, თითებზე დასათვლელი ადამიანი ხარობს ილიას სიკვდილით, ასი ათასი მისტირის ამ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს და რამდენიც ხანი გაივლის, მით უფრო, დაკლების მაგივრად, გრძნობა სიბრალულისა და სიყვარულისა მოიმატებს ერის გულში.

„საწყალი ილია, საწყალი ილია!“ მესმის გულსაკლავად წარმოთქმული აქეთ-იქიდან სიტყვები ქალთა და დედათა მიერ. საწყალი ილია? არ არის ილია საწყალი, ვინაიდან მან აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავის ქვეყნისა. იბრძოლა, ილვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიებარა ცივს სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი, დარდი თავის ქვეყნისა... გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გავუმასპინძლდით. წულულები ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამაპაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წულულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არა ათქმევინოს და არ აფიქრებინოს, არ გაჯავროს ჩვენზე ისინი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო იმედო, ჩვენო საყვარელო ილიავ!

აქ უცხოვრია ილიას

ამი წმინდა ადგილია ილიას სახელზე საქართველოში: ყვარელი, საგურამო და თბილისის ერთი მუუდრო უბანი მტკვარგაღმა.

რას იფიქრებდა ილია, რომ ეს საგულდაგულოდ აშენებული თბილისური ბინა მისთვის ესოდენ ხანმოკლე თავშესაფარი იქნებოდა წუთისოფლის ეკლიან გზაზე...

სულ ხუთიოდე წელს მოიცავს ამ სახლის ბიოგრაფია: 1902-დან ვიდრე 1907 წლამდე, ანუ წიწამურის ტრაგედიამდე! მაგრამ სახლს ხელახლა დაუბრუნდა სიცოცხლე, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ იზრუნა სახლ-მუზეუმად მის გარდაქმნაზე, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს.

მერე იცვალა იერი. შენობამ, აღდგა მისი გარე და შიდა ხედი, გაიმართა ილიასეული კაბინეტი, სასტუმრო, სასადილო და საძინებელი ოთახები. მოიძიეს მისეული ნივთები, ბევრი რამ დაკარგული იყო და მაინც პირველმა დირექტორმა

ილიაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯავახიშვილი

ამაჩემი თვითონაც მიწის მუშა იყო და სურდა მისი შვილიც მიწას არ მოსწყვეტოდა. მე არაფერი მკითხა და 1893 წელს წინამძღვრიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიმაბარა. მანამდის გორის ეხლანდელ რაიონში ხუთი წელიწადი დავყავი რუსულ სკოლებში. დედა-ენა საყველპურადდა მახსოვდა, წინამძღვრიანთ კარის სკოლაში კი ყველა საგანს ქართულად ასწავლიდნენ. ზოგი საგანი იქაურ კურსდამთავრებულებზე უფრო უკეთაც ვიცოდი (რუსული, გეოგრაფია და სხვ.), მაგრამ ვინაიდან ქართული და სპეციალური საგნები არ მესწავლა, ამიტომ მესამე კლასში მიმიღეს და საგანგებოდ ქართული ენის მასწავლებელი დ. დავითაშვილი მომიჩინეს. ერთი წლის შემდეგ ჩემ ტოლებს დავეწიე, მაგრამ ენა საბოლოოდ ვერ გავიტეხე, ქართულ მახვილს თავის ალაგი ვერ ვუპოვე.

14 წლის ყმაწვილმა უკვე ვიცოდი ვინაობა და რაობა იმ საუკუნის კლასიკოსებისა. ისიც ვიცოდი, რომ ყველაზე დიდ მწერლად, მოღვაწედ და ქართველთა მეურვედ ილია ჭავჭავაძე ითვლებოდა. იმ ერთ წელიწადში ზეპირად მასწავლეს მისი რამდენიმე ლექსი და ჩვენი სკოლის გახსნის გამო მის მიერ ნათქვამი სიტყვაც, რომელიც ქართული ორატორული ოსტატობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშად მიმაჩნია.

სკოლისთვის ტრადიციად იყო გადაქცეული, რომ სკოლის უკანასკნელი კლასების მოწაფენი ილიას დღეობას (20 ივლისს) აუცილებლივ უნდა დასწრებოდნენ. იმ დღეს დილით გალობაში ერთხელ კიდევ ვივარჯიშეთ, სუფთად ჩავიცვით და საგურამოსკენ გავწიეთ. ილია ჭავჭავაძესთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი ეხლა წინ მიდევს. სურათზე სულ 32 მოწაფე დავითვალე.

წინ მასწავლებელი თედო მეგრელიშვილი მიგვიძღვის. მას მომღერალთა გუნდი მისდევს. ხუთოოდე კილომეტრი გავიარეთ და, ილიას სახლს რომ მივუახლოვდით, მგზავრულის კილოზე მისივე ლექსი დავძახეთ:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
დღე გათენდა დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.

წინ ილია გამოგვეგება, გარს შემოვეხვიეთ და სიმღერა დავასრულეთ. ილიას გაოცებული შევცქეროდი. მეგონა, ახოვანი, ჩოხოსანი ან ქულაჯოსანი იქნებოდა, ნამდვილად კი ჩვენს წინაშე შუატანის 57 წლის კაცი იდგა — სრული, პირსავსე, ჭალარაშერეული. ილია გვიღიმოდა, გვეალერსებოდა, ვინაობას გვეკითხებოდა. მერმე წინ გაგვიძღვა და ხალხით სავსე ეზოში შეგვიყვანა. ჩვენი გამოკითხვა დიდხანს გაგრძელდა. რიგი ჩემზე მოვიდა. იმ სკოლაში ბორჩალოელი ჩემს მეტი ჯერ არავინ ყოფილიყო. ეს ილიას გაუკვირდა და გაეხარდა. მასწავლებელმა მეგრელიშვილმა შემარცხვინა: ილიას ჩემი ნაკლი წასჩურჩულა:

— აბა, ბარათაშვილის ლექსი წამიკითხე, — მითხრა ილიამ. მეტი გზა არ იყო, წინდაწინვე გავწითლდი და დავიწყე:

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი:

მახვილი ისევ ნამდვილი რუსული წესით ვიხმარე: ილიამ გაიცინა, არც სხვები ჩამორჩენილან. მე მეწყინა და მაშინვე გავჩუმდი. ილიამ თავზე ხელი გადამისვა და დამაწყნარა, ვიღაცამ უთხრა ჩემზე: ჯერ ქართული გამოთქმა არ ეხერხება, სამაგიეროდ მწერლობას ისე ბეჯითად სწავლობს და ისე სწერს თხზულებას, რომ მწერალი უნდა გამოვიდესო.

— მართალია? აბა შენ იცი, — მითხრა ილიამ, ვინძლო არ შეგვარცხვინო.

იმ ვიღაცას ენამ უყივლა, თორემ მაშინ მწერლობა აზრადაც არ გამივლია.

ილიას უბრალო სახლმა გამაოცა. ბორჩალოელი დიდი თავადების სახლები მჭონდა ნახული და მეგონა, ილიას სახლი ყველას უნდა სჯობდეს-მეთქი. რამოდენიმე წლის შემდეგ ილიამ ჩემ თვალწინ ახალი სამსართულიანი სახლი აიშენა. სამაგიეროდ მშვენიერი იყო მისი ბაღი, ზვარი, აუზი, ყვავილნარი, ეზო, წყარო, ვეება ქვის მაგიდები, თავკარვიანი კაკალი, მუხებისა და ცაცხვების რიგი, რომელნიც იმ კარმიდამოს ეხლაც ამშვენებენ. ყველაზე მეტად მარანმა გამაკვირვა. მისი მსგავსი ქართული სტილის სამოქალაქო ძველი შენობა აქამდის არ მინახავს. საკვირველია, რომ სიძველეთა დამცველ კომიტეტს ის შენობა არ აურიცხავს და არ დაუცავს.

აღარ მახსოვს, ილიას დღეობაში ვინ რომელ წელს ვნახე. ის კი მახსოვს, რომ პირველად იქ დავინახე პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, გიგა ყიფშიძე, დავით მიქელაძე, და-ძმა უორდროპები, არტურ ლაისტი, გრიგოლ აბაშიძე, კოტა აბაშიძე, ვალერიან გუნია, რაფიელ ერისთავი, გრ. ვოლსკი, ზდანოვიჩი, ნატო გაბუნია და ბევრი სხვა მოღვაწენი და მწერალი. მოწაფეებში ვიღაც სტუმარი ჩამოგვერია და მათს ვინაობას გვისახელებდა. მე ჩემი თავი ოლიმპზე მეგონა. მას მხოლოდ ვაჟა და აკაკი აკლდა.

ხალხი თანდათან მატულობს. გლეხები გუნდგუნდად მოდიან, მებადურებს არაგვიდან ორაგული მოაქვთ. მებაღეთა ჯგუფმა ნობათად ილიას უამრავი ხილი მოართვა. მონადირეს შველი ჩამოუტანია, ორმა მეცხვარემ ბატკნები მორეკა. ჩრდილში ორპირად მეტად გრძელი სუფრა იშლება. მე არა მჯეროდა, რომ ამოდენა ხალხის დაპურება ერთ რიგზე მოხერხებულიყო, მაგრამ თადარიგი სწორედ დაუჭერიათ, ყველაფერი უანგარიშოთ. კაკლის ქვეშ ინტელიგენცია და ილიას ნათესავები დაეტივნენ. სუფრის ბოლოს მოწაფენი დავსხედით, იმავე მწკრივში და ქვემოთ შორს საბძლამდის ლურჯ სუფრებს გლეხობა შემოუსხდა. საჭელსასმელი თავსაყრელია.

თამადად კოლა ერისთავია. სვამს და სხვასაც ასმევს, თან ენამჭევრობს, დროგამოშვებით ილიას ლექსებს ამბობს და სხვებსაც ათქმევინებს, ილიას მეუღლის ოლგას სადღეგრძელოს რომ გამოაცხადებდა, უეჭველად „განდეგილის“ ნაწყვეტსაც იტყოდა ხოლმე. ილია მასპინძლობს: სუფრას ხშირად ჩამოჰყვება, ყველას დახედავს, ალხენს და თვითონაც ილხენს. განთქმული მომღერალი ყარალაშვილი თარს უკრავს და მღერის. ჩვენმა გუნდმა უამრავი სიმღერა იცოდა: „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ „გაფრინდი, შავო მერცხალო“, „მურმანო“, „თამარის დროშა გაშალეს“, „წაიყვანეს თამარ ქალი“, „აღსდეგ გმირთ-გმირო“, „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“ და მრავალნაირი „მრავალჟამიერი“. ვულგარულ „შენი ჭირიმეს“ და რატილის კილოებს ილიას ხალხური სიმღერა ერჩივნა. ეს ჩვენც ვიცოდით და თითქმის მხოლოდ ლადო აღნიაშვილის რეპერტუარს ვიყენებდით. ილია ბანს გვეუბნებოდა, მაგრამ სმენა არ უვარგოდა და ამიტომ მისი ხმა დისონანსად ისმოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვუბედავდით. სამაგიეროდ ერთმა ხნიერმა გლეხმა შეუბედა და გააჩუმა. „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“ ილიას გაგიჟებით უყვარდა. ეს სიმღერა ჩვენი გუნდის შემდეგ გლეხებმა დაიწყეს. ილია მაშინვე იქ გაჩნდა, ორ გლეხს მხრებზე მოეხვია და ბანი მიაყოლა. მეც იქ გავჩნდი და ერთი მოკლე დიალოგი კარგად გავიგონე.

— ილიავ, გაჩუმდი, — უთხრა გლეხმა.

— ვერ გავჩუმდები, — მიუგო ილიამ. — ეგ სიმღერა ძლიერ მიყვარს და მეც უნდა ვიმღერო.

— ილია, გაჩუმდი, თორემ ჩვენ გავჩუმდებით.

— კარგი, ისევ მე გავჩუმდები, — უთხრა ილიამ და ის სიმღერა ხანგამოშვებით სამჯერ-ოთხჯერ ათქმევინა.

ღვინო თავისას იქმს. სუფრა ირევა. სიმღერა რამდენიმე ალაგას ისმის. აქა-იქ ლეკური და დავლური გაჩნდა. ილია ოდნავ შეზარხოშდა. მხოლოდ და-ძმა უორდროპები, ლაისტი და ეპისკოპოსი ალექსანდრე გადარჩნენ. მოწაფენიც ფხიზლები ვართ. გლეხები ფხიზლებიც რომ ყოფილიყვნენ, ერთ საათსაც ვერ მოითმენდნენ, რომ ჭიდაობა არ გაემართათ. ილიას ჭიდაობაც ძლიერ უყვარდა, მაგრამ იგი უჩხუბრად იშვიათად თავდებოდა: წრეში ხელჯოხოსნებს შეიყვანდა, თვითონაც დადიოდა და გლეხებს ეხვეწებოდა:

— ჩხუბი არ გაბედოთ. დღეობა არ ჩამიმწაროთ.

არ ჩაუმწარეს. იმ ხანებში ახლომახლო ყველაზე უფრო განთქმული მოჭიდავე იმერეთიდან გადმოსახლებული მებაღე ვინმე „ქორია“ იყო. მისი გვარი არვინ იცოდა. ერთ დროს ის ილიას მებაღედ იყო. ქორია ორ-სამ მოჭიდავეს წააქცევდა და ილიას აამებდა ხოლმე.

— ყოჩაღ! ისევ მასახელე, — უთხრა მას შემდეგ, როცა ქორიამ ერთი სახელოვანი მოჭიდავეც წააქცია. — ხვალ მოდი და ერთი საჩოხე წაიღე.

მოწაფეები შებინდებისას ვიშლებოდით. ილიას ზოგი ნათესავ-მეგობარიც მოდიოდა, ხოლო დანარჩენი, მეორე-მესამე დღემდის რჩებოდნენ. მანსვეტაშვილი სწერს, ილიას 60 ხელი ლოგინი ჰქონდაო. შემცდარია მისივე აზრი, თითქოს იმ დღეობაში საქართველოს ყველა კუთხიდან იმოდენა ხალხი საქეიფოდ მოდენილიყო. ერთი-ორი დღის სავალზე საქეიფოდ ვინ მოვიდოდა. საგურამო ხატი ხომ არ იყო, რომ მანძილს არ დაზარებოდნენ. ილიაობა ეროვნული დღეობა იყო და იმოდენა ხალხი ამიტომ იყრიდა იქ თავს. მოწაფეებსაც ამგვარად გვქონდა შესმენილი.

ილიას მამულში მოწაფენი რამდენჯერმე ჩავედით სამეურნეო ევროპული იარაღების სანახავად და სავარჯიშოდ. ერთი მოზრდილი ფარდულიც იმ იარაღებით იყო სავსე. ილია დაეინებით ლამობდა თავისი თეორია საქმედ ექცია — საქართველოში ევროპული მეურნეობის პაწია კუთხე გაეჩინა. მაგრამ ამან მაშინდელ პირობებში ნაყოფი ვერ გამოიღო. მანქანები ხშირად ემტვრეოდა. იქაური ხელოსნები ვერ ამთელებდნენ, ხოლო სულ უბრალო რამისთვის მანქანების თრევა ქალაქში და უკან ატანა მეტად ძვირად უჯდებოდა. ამის გამო

საოცარი ორატორი იყო, არ აღელდებოდა, კილოს არ აუწევდა. თავი რკინის ძგლსავით ეჭირა. ხმა ძლიერი ჰქონდა, ლოგიკის ძალა უნაკლო, დაუნდობარი, რკინისებური ლაპარაკის მანერა გოლიათის დინჯი, მაგრამ შეუბრალებელი, მკვეთრი, განმგმირავი.

ვიღაც სტუმარი კაკლის ქვეშ წყაროსთან ცხარედ ეკამათებოდა ილიას და ფანტაზიორს უწოდებდა. ბოლოს ილიამ მოუჭრა:

— კაცო, გაიგე! მარტო წაგება-მოგებისათვის ხომ არ ვცხოვრობთ. ამგვარ მანქანებს ადრე თუ გვიან გლეხებიც შეეჩვევიან, შეიძენენ და ჩვენს ქვეყანას წინ წასწევენ.

1901 წელს ყირიმის სკოლას თავი დავანებე და ტფილისს დავბრუნდი, ილია წინამძღვრიშვილს უნდოდა ის სკოლა დამესრულებინა და თავის სკოლაში მასწავლებლად მივეწვიე.

რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების 100 წლის თავის შესრულების გამო თავადაზნაურობას დიდუბეში გამოფენა გაემართა და მეც ამის სანახავად მივედი. იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი. მეფის დესპანს — ვიღაც დიდ მთავარს — აქაური მთავარმართებელი და დიდრონ მოხელეთა ამალა დასდევდა. უცებ ორ ილიას — ჭავჭავაძესა და წინამძღვრიშვილს წავაწყდი. ეს ის წინამძღვრიშვილია, რომელიც 60-იან წლებში ჭავჭავაძეს შეიარაღებულ მცველად დასდევდა, როცა მას ზოგი ქარაფშუტა თავადი თუ აზნაური მოკვლას ემუქრებოდა. ორივენი თითქოს შეფიცული მეგობრები იყვნენ და უერთმანეთოდ დიდხანს ვერა სძლებდნენ. წინამძღვრიშვილიც შესანიშნავი მოღვაწე იყო, მთელი სიცოცხლე თავის სკოლას შესწირა.

ორივენი სუფრასთან ისხდნენ და საგრილებელ რამე სასმელს სვამდნენ. მე ვცადე ილია წინამძღვრიშვილისთვის თავი მომერიდებინა, მაგრამ დამინახა, დამიძახა, დამსვა და მისალმების შემდეგ მკითხა, ამ დროს აქ რა გინდაო. როცა გაიგო, რომ სწავლას თავი მოვანებე, ძლიერ გაწყრა და საყვედურით ამავსო.

— ეხლა რას აპირებ, რით გინდა იცხოვრო?

— მინდა მხატვრობა შევისწავლო.

წინამძღვრიშვილი უარესად გამიწყრა, კიდეც დამცინა, ჭავჭავაძემ მიცნო.

— ეს ის ყმაწვილი ხომ არ არის, მწერალი რომ უნდა გამოსულიყო? — ჰკითხა მან წინამძღვრიშვილს.

— ეს არის, მაგრამ მწერალი კი არა...—და ჩემს გაწბილებას დასასრული აღარ უჩანდა. ბოლოს მკითხა, მამაშენი ნაწყენი არ არისო?

— დედ-მამა დამეხოცა, — ვუპასუხე მე.

წინამძღვრიშვილი უცებ მოლბა. კილო გამოიცვალა, მანუგეშა, მომეალერსა. მე ჩემი დედისა და დის მოკვლის ამბავი ვუამბე. ორივენი გაოცდნენ, ნუგეშის ცემას უმატეს. ამ დროს სუფრას მეფის კარისკაცის მუნდირით გამოწყობილი თავადაზნაურთა წინამძღოლი დავით მელიქიშვილი მოუჯდა. ის ჩემი ბორჩალოელი მეზობელი იყო და ერთმანეთს უწინაც ვიცნობდით. ამ იუბილეს ინიციატორი და მეთაური ის იყო. სალამ-მოკითხვის შემდეგ მარშალმა და ჭავჭავაძემ საუბარი გააბეს. მას დროგამოშვებით ცხარე კამათის იერი ეძლეოდა. ეს ბაასი სიტყვა-სიტყვით აღარ მახსოვს, ხოლო მისი შინაარსი კარგად დამახსომდა. მელიქიშვილმა ჭავჭავაძეს უსაყვედურა, თავად-აზნაურთა საკრებულოს იშვიათად ეკარები, ხოლო იუბილეს მტრულად შეხვდიო.

—სასიხარულო არაფერია,— მიუგო ჭავჭავაძემ. — საქვეყნოდ თავი მოგვჭერით, თავიდანვე გითხარით, მე ჩემი გზა მაქვს-მეთქი.

— ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო, — გაიხსენა წინამძღვრიშვილმა ჭავჭავაძის გზა, რომელიც მელიქიშვილის გზას თავიდანვე გაეყარა.

—გარდა ამისა, — თქვა ჭავჭავაძემ, — ამ იუბილემ ქართველი ხალხი ორ ბანაკად გაარღვია. თქვენ, ერთი მუჭა ჩინოსანნი, გალმა დგეხართ, ხოლო ხალხი გამოღმა დარჩა. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია: ამ იუბილეს წყალობით ხალხი მტერმოყვარის გარჩევას ისწავლის და მისი ეროვნული შეგნება საბოლოოდ ჩამოყალიბდება.

ორი წლის შემდეგ მე მართლა შევუდექი მწერლობას, ხოლო 1904 წელს „ივერიის“ ფაქტიური რედაქტორი გავხდი. ოფიციალური რედაქტორი გ. ყიფშიძე ბანკში მუშაობდა და თავის გაზეთს უკვე დაბეჭდილს კითხულობდა. იმავე წლის დამლევს გაზეთს ფ. გოგიჩაიშვილი ჩაუდგა სათავეში, იმ ორ წელიწადში ჭავჭავაძეს რამდენჯერმე შევხვდი.

1906 წლის გაზაფხულზე ავადმყოფ ილია წინამძღვრიშვილის სანახავად მივედი. მალე ი. ჭავჭავაძეც შემოვიდა. ავადმყოფი მოიკითხა და საუბარი გააბა. შავბნელი აზრებით იყო შეპყრობილი. ჯერ „ივერიის“ ბედი გაიხსენა. ეს გაზეთი მისი ნაშვილევი იყო. იგი რამოდენიმე ათეულ წელიწადს ზიდა, მერმე თავის ერთგულ ა. სარაჯიშვილს გადასცა, მან ილიას გზით მავალ ყიფშიძეს ჩააბარა. ამან კი ამ ახალგაზრდას გადაუოლოცაო, — თქვა ილიამ ჩემზე, — და შემდეგ გოგიჩაიშვილსაო.

ილია ჭავჭავაძის საჯარო ლაპარაკი რამდენჯერმე მოვისმინე. საოცარი ორატორი იყო. არ აღელდებოდა, კილოს არ აუწევდა. თავი რკინის ძეგლისავით ეჭირა. მოპირდაპირეს იშვიათად შეაწყვეტინებდა, და თუ რამდენიმე სიტყვას მიაწოდებდა, მისი რეპლიკა მუდამ მომაკვდინებელი იყო. ხმა ძლიერი ჰქონდა, ლოგიკის ძალა — უნაკლო, დაუნდობარი, რკინისებური. ლაპარაკის მანერა — ბოლომდის დინჯი, მაგრამ შეუბრალებელი, მკვეთრი, განმგმირავი, ზოგჯერ ზომიერად ირონიული, მაგრამ მუდამ ზრდილობიანი, დარბაისლური. მოპირდაპირის სუსტ ალაგებს ფოლადის მარწუხივით დასწვდებოდა და ჰგლეჯდა, აითრევდა და მანამდის სთელავდა, სანამ საბოლოოდ არ მოსპობდა. ეს მანერა პოლემიკისა ილიას წერილებსაც აშკარად ეტყობა. მტრებსაც ნაწვნევი ჰქონდათ და ძლიერ ეშინოდათ, შებმას იშვიათად უბედავდნენ. არა თუ ილიას ტოლი, მისი ტიპის ორატორიც აღარ მომისმენია.



№ 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაჰხვეოდა იასა,
ზამბახსაც გაჰლვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.
ტოროლა მალალს ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით ჰგალობდა,
ბულბულიც, გრძნობით ალვსილი,
ნაზის ხმით ამას ამბობდა:
--„აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
„ილხინე, ივერთ მხარეო,
„და შენც, ქართველო, სწავლითა
„სამშობლო გაახარეო“!

ი. ჯ—შვილი.

საგურამოში

საგურამოში იბადებოდა და ღვივდებოდა მრავალი ცოცხალი აზრი, სათავე ედებოდა დიდ ეროვნულ საქმეებს.

ვასილ გვეტაძე

საგურამოში ახლა მზიანი ამინდია. გზისპირებზე, ბარაქიანად დაუყრია ხეებს ჩრდილები. ჭრიჭინობელებიც ისე ყიყინებენ, კაცს ძილი მოერევა.

ქვემოდან, სოფლის გზით თუ ამოივლი, ილიას კარ-მიდამოს ვერც კი დაინახავ, ისეა ჩაბურული ბუჩქებში და ხეებში. მაგრამ რაკი ასფალტით მოგებულ ორღობეს გამოსცდები, „თვალწინ გადაიშლება ბაღ-ვენახებით შემკული ნამდვილი სამოთხე, რომელსაც თავს ადგას მაღალტყიანი ზედაზნის მთები...“

არტურ ლაისტის ეს პოეტური განწყობილება ნაცნობია და ახლობელი ყველასათვის, ვინც ილიას კარ-მიდამოში შემოდგამს ფეხს. მოწიწებითა და სასოებით დადიან ამ ბილიკებზე, ილიას რომ გაუჭრია საკუთარი ხელით.

აგვისტოს პაპანაქებაში გალურსულა ბაღი. დაჯაგულ თხილნარს ტანი ვერ აუშვია. ნარწყავ ნიადაგზე ხვავრიელად წამოსულა მდელო და ბალახი. აგერ ორი ლამაზი წაბლის ხე და ცაცხვების გრძელი ხეივანი, ასე გამორჩეულად რომ ჰყვარებია ილიას. აქვეა მაღალი ვერცხლისფერი ჭადარი სახლის წინა აივანთან, მის თვალწინ გაზრდილი (ეს ხე ძლივს გადაურჩა მოჭრას ახალი სახლის აგების დროს).

ილია ხარობდა, თურმე, ამ ხეებით. სტუმრებთან სასიამო ბაასით გართულს, ხშირად მოუგონებია გოეთეს სიტყვები: „მან ქმნა კეთილი საქმე, ვინც დარგო და აღზარდა რამდენიმე ლამაზი ხეო...“

მზრუნველ, მოამაგე ხელს დაურგავს და გაუხარებია ხეხილი, ჩაუყრია ვენახი, გაუჭრია აუზი (დღესაც ნებიერად ყვინთაობს შიგ თეთრი გედი). სმენას აამებდა სახლის წინ, კაკლის ხის ქვეშ, ღამის სიჩუმეში შადრევნის ჩუხჩუხი.

ატმის, ვაშლისა და მსხლის ყვავილებით გადაიფიფქებოდა ქვემოთა ხეხილის ბაღი გაზაფხულზე. ერთბაშად აყვავდებოდნენ იასამნის ბუჩქები. ზედაზნიდან წამოსული სიო ოდნავ შეათრთოლებდა თეთრ-ყვითლად მოღაღანე ვარდებს და ეზო ივსებოდა თაფლისა და აკაციის სუნით.

სოკოებივით გადმოეშლებოდათ ფართო ფოთლები კაკლებს. ეს ერთი კაკლის ხე, მიწაში გაბარჯღული ძირებით, ჯმუხი და ძლიერი, მაინც სხვანაირად აიქნევდა ხოლმე მხრებს.

ლადო ასათიანის ლექსისა არ იყოს, აქ, ამ კაკლის ქვეშ, ისვენებდა მუზების ღმერთი, შუბლმაღალი ოლიმპიელი, კაცი, რომელმაც „მოსტაცა დიდი სინათლე მზეს და პრომეთეს ცეცხლი მისცა უკუნეთს“... აქ, უბრალო, თავმოყვარე ოსტატის მიერ გამოთლილ ქვის მაგიდასთან, იჯდა იგი მხნე და ჯანიერი, ქართველი კაცის მოიმედე და სულში ჩამხედვარი.

როგორც მისი შუბლი, ფართო და ნათელი, იშზირებოდა რტოებში მთვარე. იდუმალი ხმით შარიშურობდა კაკლის ხის ფოთლები. იღვრებოდა წყაროო მოულევლად, ცივი და გემრიელი, მშობლიური მთებიდან ჩამონაყონი.

უეჭველად რაღაცნაირი სევდა და ნაღველი წამოგეძალება კაცს, როცა ამ კაკლებს შეათვალიერებ. გინდა, რაც შეიძლება დიდხანს დარჩე მათთან. ყველაფერს დაინახავს მოყვარული თვალი. ყველაფერს იგრძნობს...

— სახლის უკანა ეზოში, მაღლობზე დარგული კაკლის დიდი ხეები, რომლებიც პოეტის სამყოფელის უმთავრეს სამკაულს შეადგენდა, ყველაზე ძვირფასი იყო მისთვის... რამდენი საამო სიტყვა წარმოთქმულა აქ, ბებერი კაკლის ქვეშ. რამდენჯერ უმღერიათ მგრძნობიარედ.

რამდენი საამო სიტყვა წარმოთქმულაო აქ, — გვეუბნება ჩვენი უცხოელი მეგობარი, იმ დღეთა მომსწრე და მოზიარე.

მერედა, ვინ წარმოთქვამდა ამ საამო სიტყვებს. რა საზოგადოება იყრიდა თავს. რას ამბობდნენ, რა აწუხებდათ.

ყური დავუგდოთ მათ, დიდებულ ადამიანებს. მოვისმინოთ გარდასულ დღეთა სიღრმიდან წამოსული მშობლიური ხმები.

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის
ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი.
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა
და დაე გვძრახონ, ჩვენ მის ძებნით დავლიოთ
დღენი.

ეს ილიას ხმაა ზარიანი, გაუბზარავი.

დავხუჭოთ თვალი და წარმოვიდგინოთ, ვინაა ამ დროს აქ, საგურამოში, ილიას ეზოში, ბებერი კაკლის ხის ძირას?

აი, მოხუცებული რაფიელ ერისთავი ყაჭვით თეთრი თმაწვერით... იმ დღეებში ჭაბუკმა სოსელომ რომ შესძახა გამამხნევებლად: „ვაშა, რაფიელ, გვემრავლოს მამულში შენებრი შვილიო“.

„სამშობლო ხევსურისას“ ავტორს გვერდში უზის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტზე“ მავედრებელი აკაკი, საქართველოს მომავალზე მლოცველი და მოყიყინე. აგერ ჯიხვტყავიანი ვაჟა-ფშაველა, ასე ფართოდ რომ გაუღო ილიამ „ივერიის“ კარი. იაკობ გოგებაშვილიც აგერაა (ვარიანისა და თბილისის იქით ნაბიჯს რომ ვერ გადაადგმევინებ).

აგერ ვანო მაჩაბელი, „მეფე ლირი“ რომ თარგმნა ილიასთან ერთად (გაივლის რამდენიმე წელი და იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგება).

...გიგო ყიფშიძე, ილიას მარჯვენა ხელი „ივერიაში“, „მაცი ხვიტიას“ ავტორი ანტონ ფურცელაძე, პირველი სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის დამაარსებელი ილია წინამძღვრიშვილი, იონა მეუნარგია, ილია ბახტაძე, ნიკო ცხვედაძე, ვალიკო გუნია, ავქსენტი ცაგარელი, ნიკო ხიზანიშვილი, პეტრე უმიკაშვილი. ყველა ესენი იმ საუკუნის პირმშო შვილები არიან — ზოგს ხარის გამწევი ქედი გააჩნია, ზოგს ცოტა ნაკლები ძალა აქვს, მაგრამ რაკი ერთ უღელში შებმულან, ძალაც მეტი მისცემიათ.

საქართველოა მათი საფიქრალი. ქართველი კაცის ბედი ადარდებთ. ერის ტკივილი სტკივათ.

კითხულობენ ახალ ნაწარმოებებს, საგაზეთო სტატიებს. მეტწილად საადგილმამულო ბანკის გარშემო საუბრობენ. დაინტერესებული არიან ქართული თეატრით, რომელსაც ამ დროს ძალიან უჭირს.

— ქართველი ინტელიგენციის რიცხვი მცირდებაო, — სინანულით ითქვა. ილია არ ეთანხმება ამას და მისთვის ჩვეული დამაჯერებლობით ამბობს:

— პირიქით, ქართველთა გონებრივი და კულტურული ძალა იზრდება, საზოგადოებრივ სარბიელზე განათლებულ ადამიანთა რიცხვი მრავლდებაო. საგანგებოდ გამოჰყოფს იმ ახალ თაობას, რომელიც

ეს-ესაა გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე ქვევიდან, გლეხთა წრიდან.

ერთი სიტყვით, საგურამო მარტო საგარაკო ადგილი კი არაა. აქ იბადება და ღვივდება მრავალი ცოცხალი აზრი, სათავე ედება ბევრ ეროვნულ საქმეს. კაცთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და ოროტრიალში ჩაბმული დიდი მგოსანი თბილისიდან საგურამოში მიდის უმეტესად იმიტომ, რომ თქვას და დაწეროს ის, რასაც მთელი მისი სიცოცხლე ეწირება.

არაგვისა და ზედაზნის ფონზე ჩვენ ვხედავთ ილიას, შთაგონებით განათებულ მის დიდებულ სახეს, თავისი სახლის აივანზე რომ ზის და სოფელს გადასცქერის.

ზემო აივნიდან, იქიდან, სადაც ილიას კაბინეტია მოთავსებული, მშვენიერი სურათი იშლება თვალწინ. დასავლეთით მუხრანის ველი შემომდგარა — მსუყე, ბარაქიანი. შორს, მინდვრებსა და მთებს შუა, ვერცხლის ზოლად გამოკრთება ხოლმე მდინარე ქსანი.

ქვემოთ, სულ ახლოს, მთებსა და სიმწვანეში, „მორბის არაგვი არაგვიანი“... შემდეგ მყინვარწვერით თავდადგმული კავკასიონის ქედია, საქართველოს სამხედრო გზაა.

ზის ილია აივანზე, წიგნით ხელში, და მახლობელ ბაღში მომუშავე ბიჭების სიმღერას ისმენს. მეტადრე „ურმული“ უყვარს, „კაკო ყაჩაღში“ ხომ ასეთი მგრძნობიარე სტრიქონებით გააუკვდავა გლეხკაცის ეს მარადიული დარდი და ვარამი:

ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი.

ამაზე ცოტა ხნით ადრე აკი ერთ პატარა ლირიკულ ლექსშიაც უთქვამს: „მის მწუხარ ხმებში ჩემს გულის ხმას ვცნობ და მევე მიყვარს ჩემი წუხილიო“.

ისევ არტურ ლაისტს მივცეთ სიტყვა. ისიც საათობით მჯდარა ილიასთან ერთად ამ აივანზე. გლეხკაცის გულიდან ამოსული ეს კვნესა მასაც ბევრჯერ მოუსმენია საკუთარი ყურით.

— საგურამო ჩემთვის უსაყვარლესი ადგილი გახდა ამ ქვეყანაზე, — მოგვითხრობს ილიას უტყუარი მეგობარი და მოთაყვანე. — ეს ტყით მოსილი მთები, რომლებიც მიდამოს განსაკუთრებულ იერს აძლევენ, მთელი წლის განმავლობაში ნაირგვარი სილამაზით ხიბლავდნენ ადამიანის თვალს. განსაკუთრებული იყო საგურამოს ზაფხული. ამ დროს აქ ბულბულის სტვენა გახშირდებოდა და შორიდანაც მთის წყაროს საიდუმლო ლიკლიკი მოისმოდა. სიცხეში, როცა ფრთოსანთა ხმა მიწყდებოდა, ჭრიჭინა თავის სტვირს მომართავდა და გაამდა თავისებურად. არამარტო პაპანაქება დღისით, არამედ ღამითაც არ ისვენებდა. მისი ხმა პოეტურად აცხოველებდა გარემოს. ვინ იცის, რამდენჯერ დავმტკბარვართ მე და ილია საგურამოში, მზის ჩასვლით. ნასადილევს, როცა მუხრანის მხრიდან ილია ღრუბლებს შენიშნავდა, აივანს აღარ შორდებოდა, მზის ჩასვლის სანახაობას ელოდა ხოლმე. იმ დროს ბუნების სურათი თავისი განსაკუთრებული სიმშვენიერით, მართლაც, იტაცებდა ადამიანს. სწორედ ასეთი სურათი აქვს ილიას აღწერილი „განდეგილში“...

გადავფურცლოთ „განდეგილი“. გავიხსენოთ მეთოთხმეტე თავში მწყემსი ქალის თვალით დანახული საღამო:

ლამაზი იყო ამ დღის საღამო,
რარიგ შვენოდა მზე დამავალი!
შეეხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გავშტერდი, ვეღარ მოვსხლიტე თვალი.
ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალებდა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.

ამ აივნიდან, არაგვის შფოთვა-დრტვინვასა და ზედაზენზე აყოლილი ტყეების ბურუსში, დაინახა ილიამ „მყინვარზედ მდგომი მოხუცებული“, მარჯვენა ხელით თვალები რომ მოეჩრდილა და „უძრავი, უხმო, დაფიქრებული“, დაჰყურებდა გარშემო შემოწყობილ მთებს. პოეტის ოცნებაში შობილმა აჩრდილმა შემდეგ არაგვის კიდეებზე ჩამოიარა, ძველი მცხეთის ნასახლარებში, სვეტიცხოვლისა და ჯვარის სიახლოვეს.

მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ
შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად
გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი
წარსული, —

გაამჟღავნა თავისი ვინაობა „იმა მოხუცმა დიდებული ხმით“.

ოცდათხუთმეტი წლისა იყო მაშინ ილია, როცა „აჩრდილის“ ბოლო რედაქცია მოამთავრა. რამდენიმე წლის შემდეგ დაიწერება პოემა მეფე დიმიტრი თავდადებულზე და მონუმენტური „განდეგილი“.

„ოთარაანთ ქვრივის“ ადგილის დედაც რომ აქაა, საგურამოში, ესეც ცხადია.

აბა, მოდით, გონებაში ისევ გავაცოცხლოთ ის დღეები, როცა ეს მოთხრობა იწერებოდა.

...მთის ძირას ახლობელ-მეგობრები მწვანეზე სხედან. გაჰყურებენ მინდორს, საიდანაც ახალგაზრდა გლეხის სიმღერა მოისმის. მოსწონთ და გაყუჩებულები უგდებენ ყურს. ილია გლეხს გამოელაპარაკება.

— აი, რამოდენა საუნჯე იღუპება სოფელში ტყუილ-უბრალოდ, — შენიშნეს ზოგიერთებმა და ყველა ჩაფიქრდა.

ეს საგურამოელი გლეხი იქნებ გიორგია, გამჭრიახი, გონიერი ახალგაზრდა კაცი. იქნებ სხვა ძაფებითაცაა გადაბმული ილია გლეხკაცობასთან. ამბობენ, ხშირად მთელ დღეს კალოზე ატარებდა, პაპანაქება სიცხეშიო. ისიც უთქვამთ: ძნებსა და ბზეს შორის თეთრ საზაფხულო ტანისამოსში, პაპიროსით ხელში შორიდანაც კარგად დაინახავდითო.

ერთხელ თურმე, სტაროსელსკების მოურავმა რომელიღაც მეცხვარეს გაარტყა. ილია წასწრებია ამ ამბავს და მთელი დღე ვეღარ დამშვიდებულა.

...ბოლო ხანებში განსაკუთრებული სიმძაფრით გრძნობს მოახლოებულ საფრთხეს და სიკვდილზე ფიქრი აწვალებს.

შეფუტკრეს, რომელიც მებაღეობასაც მისდევდა, მრავალნაირი ხეხილი დაემყნო. ილიასთვის უთხოვია, დამყნილი ხეები ენახა.

ილიამ ნამყენები ნახა, გაიღიმა და იმ კაცს უთხრა:

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ნუთუ გგონია, მე ამის ნაყოფს მოვესწრებიო.

ცოტა რომ გამოშორებიან იმ ადგილს, ილიას ჩუმად ჩაულაპარაკებია:

— საკვირველი კაცია, არც კი დაფიქრებულა, რა ცოტა ხნის სიცოცხლე დამრჩენიაო.

დაინახა და მოისმინა ყოველივე ეს არტურ ლაისტმა. გული ჩაეშეშა და თქვა:

— ეს სიტყვები ილიამ ნელი და ნაღვლიანი ხმით წარმოთქვა. შეეხედე, მწუხარე სახე ჰქონდა! მოხუცებულობის დაღი ისე არასოდეს დასტყობია, როგორც ამ დილას, როცა შემოდგომის მზე აშუქებდა მის სახეს, ხოლო სევდიანი თვალები მოწყენილად გაჰყურებდნენ საშემოდგომოდ გადაყვითლებულ ზედაზნის ტყეს.

...და ეს ხდება სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე!

სიკვდილის მოახლოებაზე წინათგრძნობით ნაკარნახევია, ალბათ, მისი უკანასკნელი საუბარიც მეუღლესთან.

საოცარი წინათგრძნობის მაგალითია, აბა, სხვა რა სახელი უნდა დაარქვას კაცმა მის ბოლო დღესაც.

...თბილისიდან საგურამოში მიმავალი ილია მეეტლეს ეუბნება, ცხენები დაარწყულეო.

თხუთმეტ წუთში ცხენები დაარწყულეს. ეტლი მზადაა გასამგზავრებლად.

ილია ჩუმად დადის აქეთ-იქით. რაღაცნაირ ყოყმანშია. უხილავი ძალა ერთ ადგილზე აბამს, აკავებს. მთელი ერთი საათი იარა ასე წინ და უკან.

მეუღლის თქმით, ბოლოს ჩუმად ავიდა ეტლში სიცოცხლეზე ხელაქნეული კაცივით და მოწყვეტით ჩაჯდა. ასევე მოწყვეტით გაექანა ეტლი საგურამოსაკენ.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ილია მოკლეს...

— საგურამოში ილიას სახლის გარშემო ბუნება თანდათან ლამაზდებოდა. ხეებმა ტანი აიყარეს. ილიას კი სიბერე ერეოდა და სიცოცხლის სიამეც უნელდებოდა. ბოლოს მისი ტრაგიკული დასასრულიც მოვიდა. და ზღაპრული, საუცხოო „მწვანე სამოთხე“ ყველამ მიივიწყა, იქითკენ აღარავინ იხედება. მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში საგურამო მაინც დაიჭერს ღირსსახსოვარ ადგილს...

არტურ ლაისტმა, შეშფოთებულმა იმით, რომ მის თვალწინ ასეთი უბედურება დატრიალდა, თქვა ეს სიტყვები. სხვანაირად ვერც იტყოდა იმ მძიმე გლოვის დღეებში.

საგურამო კი ისევ საგურამოა თავისი ტყე-ჭალითა და წყაროებით, ველ-მინდვრებით, ბაღებით, ვენახებით, სანნავ-სათესი მიწით.

ისევ სტვენენ ბულბულები ილიას კარმიდამოში. ისევ ჩამოჩხრიალებს ილიას წყარო საგანგებოდ გამოჭრილ ღარზე. სიცხეში, როცა ფრთოსანთა ხმა მიწყდება, ჭრიჭინა თავის სტვირს მომართავს და აღარ ისვენებს არც დღისით, აღარც ღამით.

ილიას აშენებული ორსართულიანი სახლიც ერთ გამორჩეულ მაღლობზე, ზედაზნის მთის ტყიან კალთაზე, ასე საყვარელი და მშობლიური ჩვენთვის, ისევისე დგას. ილიას ხელით ამოყვანილი კედლები ფასდაუდებელი პატიოსანი თვლებივით ელავენ არამარტო ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მთელ ჩვენს ეროვნულ საგანძურში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ილია ჭავჭავაძე საგურამოში.
ილიას საეროო კაბინეტი თბილისში.
საგურამოელი მებაღეები ილიასთან.
საგურამო. ილიობა.
ილია ბაბის თანამშრომლებთან.
ილია პეტერბურგელ ქართველ სტუ-
დენტთა შორის.
ილია უსაზენ გუდასტვირს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ჯაღლაქიანება ჯაჭვისა...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედაგოგიკაში ილია ჭავჭავაძის ღვაწლის დასახასიათებლად მისი „პედაგოგიის საფუძვლებიც“ იკმარებდა. იგი პირველად გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა მეთაურ წერილებად 1888 წელს.

ილიას ყურადღების ცენტრშია სწავლებისა და აღზრდის არსის, ამ პროცესების ერთიანობისა და სპეციფიკურობის გარკვევა, პრაქტიკაში მათი გათიშულობისა და იმით გატაცების მავნეობის დასაბუთება, რომ სკოლამ მთელი ძალები მოსწავლის „ბევრი ცოდნით“ აღჭურვას მოახმაროს და მისი „ზნე-ხასიათის წვრთნა“ უყურადღებოდ დატოვოს.

ილია ბრძანებს: „...სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწვრთნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წვრთნა და სწავლა ხელიხელს გადაბმულნი უნდა ვიდოდეს სკოლაში“.

ილია ჭავჭავაძე გამორჩეული ყურადღებით ეკიდება და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებლის ყოფაქცევას, წინდახედულობას, თავშეკავებას, მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემას. იგი დაწვრილებით აღწერს ერთ საგულისხმო მაგალითს.

ახალგაზრდა კაცი უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაინიშნა მასწავლებლად. პირველი გაკვეთილი შეხვდა კლასში, რომელშიც ბავშვობიდან ყრმობაში გადამდგარი მოსწავლეები იყვნენ თავმოყრილი. მწერალს მხედველობიდან არ რჩება, რომ „ამ ხანში ყმაწვილები უფრო ცელქები და მოუსვენრები არიან“.

ახალი მასწავლებელი კლასს წარუდგინა დირექტორმა და აუწყა მოსწავლეებს მისი ვინაობა. მასწავლებელმა ორიოდე ტკბილი სიტყვა უთხრა ყმაწვილებს და „დაუყოვნებლივ შეუდგა სწავლების საქმეს“. გაკვეთილის ახსნისას მას დაფა დასჭირდა.

დაფაზე წერა რომ დაიწყო, დაღეჭილი ქაღალდი ერთ-ერთმა მოსწავლემ ისროლა უკანა რიგებიდან. მასწავლებელმა წერა განაგრძო ისე, რომ უკან არ მოუხედავს, ვითომდაც საყურადღებო არა მომხდარა რაო. წერა რომ დაამთავრა, იგი მოუბრუნდა მოსწავლეებს და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„...ყმაწვილებო, დღეს ჩემი პირველი გაკვეთილია, პირველი ნაბიჯია ოსტატობის სარბიელზე. სამართალსა ვთხოვ თქვენს პატიოსნებას, თქვენს სინდისს. აბა იფიქრეთ, ამის შემდეგ, რა უპატიურებაც ერთმა თქვენგანმა მომაყენა, რა გამწარებული გრძნობა უნდა გამყვეს მე თან თქვენი კლასიდან, საცა ჩემს სიცოცხლეში პირველად დავიწყე სწავლება შეგირდებისა. მე არ მინდა ვიცოდე, არ მინდა შევიტყო, ვინ არის დამნაშავე... რა საჭიროა, — დეე განიკითხოს ის იმისავე სინდისმა. მე მით უფრო ვერ გამიგია ჩემი შეურაცხმყოფელის საქციელი, რომ მან ჯერ არ იცის, როგორი ოსტატი ვარ და როგორი კაცი. იქნება თქვენი სიყვარულის ღირსი გამოვდგე. ჯერ გამიცანით, გამომცადეთ და მერე გამიკითხეთ... ხელმეორედ მოგახსენებთ, რომ მე არ მინდა შევიტყო, ვინ არის ამ უკიდურესი ცელქობის მოქმედი. დამნაშავის სახელი რომ შევიტყო, ვინ იცის, მეც კაცი ვარ, — იქნება გულში იმისი ჯავრი ჩავიყოლო და ამან მასზე გული ამაყრევინოს“.

მოსწავლეებში ჩუმი ჩოჩქოლი ატყდა. დაიწყეს აქეთ-იქით ჩურჩული, ერთი მეორეს რაღაცას ეუბნებოდა, მეორე მესამეს და ასე მთელს კლასს აცნობეს ერთმანეთის გულის პასუხი. ბოლოს წამოდგა ერთ-ერთი და მასწავლებელს უთხრა: ნება მომეცით, მე მოვითხოვო თქვენთან ბოდიში ყველას მაგიერ. ყველა ჩემი ამხანაგი გთხოვთ, გვაპატიოთ ეს მეტად ცუდი საქციელი ერთი ჩვენთაგანისა!

მასწავლებელმა სულგრძელობა მიიღო გულწრფელი მობოდიშება და დასძინა, რომ მან გულიდან ამოიღო და სამუდამოდ დავიწყებას მისცა ეს უსიამოვნო შემთხვევა.

ილია ჭავჭავაძე დაასკვნის: ერთი ასეთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერად მოქმედებს ბავშვის გაადამიანებაზე, ვიდრე წლების განმავლობაში გრამატიკული წესების ზეპირობაო.

ვფიქრობ, ბევრს გაახსენდება თავისი მასწავლებლის „ჭკვიანური და გულთბილი საქციელი“..

არ მავიწყდება ჩემი ორი მასწავლებლის განსხვავებული რეაქცია ერთსა და იმავე ცელქობაზე.

ერთმა ამხანაგმა სკოლაში ჩიტი მოიყვანა და საკლასო ოთახში გააფრინა. ჩიტი აქეთ-იქით აწყდებოდა და დახურული ფახჯრის მინებს ეხლებოდა. მასწავლებელი შეშფოთდა. ვინ მოიყვანა, ვინ მოიყვანაო, — კითხულობდა და პასუხი რომ ვერ მიიღო, მდგომარეობიდან გამოვიდა.

საქმე იქამდე მივიდა, გაკვეთილზე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის შემოსვლა გახდა საჭირო. ამასობაში გაკვეთილის დამთავრების ზარი დაირეკა.

მერე ვილაცამ აიტეხა, მოდი ახლა მათემატიკის მასწავლებელს გავუფრინოთ ჩიტიო. შევთანხმდით. ჩიტი ისევ იმ ამხანაგმა მოიყვანა, მგონი კოლექციონერობდა. როგორც კი მასწავლებელი შემოვიდა და კარი მიხურა, ჩიტმა ოთახში გაიფრთხიალა.

მასწავლებელმა თვალი შეავლო აწრიალებულ ჩიტს, და მაინც და მაინც მის მომყვანს მიმართა, ჩიტი შემოფრენილა და შენმა გაზრდამ, ფანჯარა გამოუღეო.

ფერდაკარგულმა „კოლექციონერმა“ სწრაფად გამოაღო ფანჯარა და გაკვეთილი ისე ჩატარდა, რომ უქმად ერთი წუთიც არ დაკარგულა.

საგულისხმოა მეორე შემთხვევაც. ლექსის ტრფიალიო, სწორედ ისეთ კაცზე იტყვიან, როგორიც ერთი ქართულის მასწავლებელი იყო ჩემი შვილების თაობისა. მე ბევრჯერ მომისმენია მისი გაკვეთილი და კარგად გავიცანი იგი. არ შეიძლებოდა მის მოწაფეს ზეპირად არ ცოდნოდა შოთას, თეიმურაზის, ბესიკის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას თუ გალაკტიონის შედევრები. მოსწავლე რომ ლექსს ამბობდა, მასწავლებელი ისე განიცდიდა, რომ ზოგჯერ შებრუნდებოდა და ცრემლს იწმენდდა, რომ ბავშვებს არ შეეძჩნიათ.

ერთი მოსწავლე აკაკის „განთიადს“ ყვებოდა. ლექსი კარგად არ ცოდნია და წინ მჯდომი მოსწავლის ზურგზე მიყრდნობილ წიგნს ისე მარჯვედ იყენებდა, გეგონებოდა, ზეპირად ლაპარაკობსო.

„ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო“ რომ თქვა, მასწავლებელი გაინაბა, თავი მაგიდაზე დადო და სმენად იქცა. მოსწავლემ ლექსი ბოლომდე ჩაარაკრაკა. მასწავლებელი წამოდგა და საყვედურნარევი ღიმილით უთხრა მას: ძალიან მასიამოვნე, მაგრამ წარმოგიდგენია, რა იქნებოდა, ეს დიდებული ლექსი რომ ზეპირად გეთქვაო.

არა მგონია, ამის შემდეგ ვინმეს ეკადრა ლექსის თქმის დროს წიგნში ჩახედვა.

დავუბრუნდეთ „ზნე-ხასიათს“. რა არის ზნე-ხასიათის წვრთნა? — კითხულობს ილია და უპასუხებს: „ზნე-ხასიათის წვრთნა ზრდაა შინაგანის კაცისა... რადგანაც შინაგნობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წვრთნა ზნე-ხასიათის ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ უკეთ ვთქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა. ამიტომ ზნე-ხასიათის წვრთნა ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარის წვრთნისა, ზრდისა და განათლებისა“. მხოლოდ იმაზე ზრუნვა, რომ კაცი მარტო სწავლული და მცოდნე იყოს, ამაოა და ბოლო-მოუბმელი წადილია სკოლისაო, — დაასკვნის დიდი მწერალი.

ერის სულიერ მამას კაცთმოყვარეობა და სამართლიანობა მიაჩნია კაცურკაცობის უმთავრეს ღირსებად. „თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარო“, — გვმოძღვრავს იგი.

ძველი და თანამედროვე სკოლები ისე შორს არიან ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა, მაგრამ აღზრდის ბევრ სატკივარზე თითქოს სწორედ ჩვენი სკოლის შემხედვარე ღაღადებენ ჭეშმარიტებას დიდი ილიას ბაგენი. გამოჩენილი ადამიანები სიკვდილის შემდეგაც მხარში უდგანან თაობათა მჩქეფარე ცხოვრებას. „კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებლობა“ ჩვენი ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნისა და განახლების ამჟამად მიმდინარე ცხოველმყოფელი პროცესის სული და გული.

აქაც მხარში გვიდგას და კეთილად გვმოძღვრავს დიდი ილია.

გიორგი საყვარელიძე

ამდენიც უნდა იცოცხლო, ვერასოდეს აღნუსხავ იმ ლოგიკურ წინაღობათა რიგს, მუდამ თან რომ გდევდა და გაიძულებდა ყოველ ცისმარე, ყოველი ამოსუნთქვისას ზედიზედ გადაგელახა ფიზიკური თუ სულიერი ზღუდეები. წინაღობათა ძლევის მძაფრი შეგრძნებებით ამართლებდა მუდამ ადამიანი თავის საკუთარ, როგორც ამაქვეყნიური მარათონელის არსსა და მოწოდებას. პროფესიონალი მორბენალი ათასობით კილომეტრს რომ გაირბენს, მხოლოდ იმ რამდენიმე მეტრის სიგრძის სავალ მონაკვეთსღა დაიხსომებს, სადაც წაუფორხილწაუბანცალია... ასეულ ათასობით სტრიქონის დამწერი კალმოსანიც მწერლურ აღიარებათა ფონზე პირველ რიგში მხოლოდ იმ ნაბიჯებს დააფასებს ყველაზე მეტად, მის სულსა და გულში მიყუჩებული ნაიარევის კიდეები რომ გაუღიზიანებია, გადაუხეხავს, წამოუტკივლებია.

ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ერთობ გადაულახავ ზღუდედ მესახება მცირე ფორმის საჟურნალო მასალის დაწერა — უკვდავი ილიას საიუბილეო ნომერს რომ გეგმავდნენ, ვთხოვე კოლეგებს, პატარა ადგილი დამითმეთ, რაღაც მაქვს მეთქი სათქმელი, ოღონდ, ნათლად ვერ წარმომედგინა, თუ რას და როგორ ვიტყოდი. რიგითი ქართველის გაშიშვლებულ ნერვებსა და ნეირონებში შედედებული რაღაც რომ უნდა შემეთავაზებინა აუცილებლად, ეს კი ურყევად მწამდა.

დიახ, ურყევად მწამს: თუ რამ სიკეთე მოჰფენია ჩვენს მრავალჭირნახულ ერს— მხოლოდ ჩვენივე მეცადინეობითა და შემართებით, და ასევე, რა სინანული და სადარდებელიც გაგვჩენია, ისევ ჩვენივე აუხსნელი დაუდევრობით, უყურადღებობითა და გაუფრთხილებლობით.

თითქოს, საკუთარი თავის ჯიბრზე, რა ხშირად მოვქცევივართ მტრულად იმ მამულიშვილთ, შემდეგ უკვე ნეტარ, სალოცავ სახეებად და სახელებად რომ აღმსდგარან ჩვენს დამწვარ-დადაგულ ისტორიაში. თურმე ნუ იტყვით, სწორედ ამ სახეებსა და სახელებს ძოუფენიათ კიდევ ნათელი ჩვენს ბიოგრაფიაში ჩაკარგული კუთხე-კუნჭულებისათვის და მუდამ მალამოდ გვედებოდნენ, რათა სხვათა თვალთა წინაშე რაც შეიძლება გაუტანჯავად წარვმდგარიყავით.

გენიალურ მგოსანთა და ხუროთმოძღვართა, სარდალთა და მეფეთა, სწავლულთა და შეგირდთა, დედათა, მამათა და შვილთა წვისა და დაგვის მატიანური ოკეანის უძირო სიღრმიდან ამოტივტივდა, ამოისვეტა, ამობრწყინდა ილიას წმინდა-შვიდი, კლასიკური და საყვარელი სახე, რომლის ჩრდილში დაყენებასაც ლამობდნენ ერთნი, სხვანი კი ჩაურევლობის სამარცხვინო პოლიტიკას მიმართავდნენ და ამით ხელს უწყობდნენ ყველაზე თავზარდამცემი დანაშაულის აპოთეოზს. ნამდვილად დიდი მწერალია კოლუმბიელი მარკესი. რადგან მან შეძლო თითქოს ფარული, მაგრამ ამასობაში ყოვლად გახმაურებული ავი ზრახვანის სისრულეში მოყვანის მთელი საშინელების დახატვა ლიტერატურისთვის სრულიად ახალი მხატვრული ხერხებით — ალბათ წაიკითხავდით „წინასწარ გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკას, — რომელიც სიტყვა-სიტყვით ესპანურიდან ასე ითარგმნება — „მკვლელობა, რომლის შესახებაც წინასწარ ყველამ ყველაფერი მშვენივრად იცოდა...“ დიახ, ყველამ ყველაფერი მშვენივრად იცოდა, თვითონ მსხვერპლის დედამაც, საკუთარი ხელით რომ მოუხურა კარი თავისსავე პირმშოს, რომელსაც დანაგაშიშვლებული ყასბები მოსდევდნენ, და ზედ თავისი სახლის ზღურბლთან დააკვლევინა... დიახ, ყველამ ყველაფერი წინდაწინ იცოდა, თითქოს აფრთხილებდნენ კიდეც განწირულს, შველოდნენ კიდეც გარეგნულად, მაგრამ...

მცირე ერებს ახასიათებთ შინაურული უმადურობისა და დაუნდობლობის ფსიქოლოგიური გამოვლენები, რომლებიც ყოვლად გაუმართლებელ რეპრესიულ-ტერორისტულ ასპექტებში იზრდება. კოლუმბიურ რომანში აღწერილი სიუჟეტის მიხედვით მშობელმა დედამ დაუსვა წერტილი ღვიძლი შვილის სასიცოცხლო პერსპექტივას. ჩვენს სინამდვილეში კი სწორედ ღვიძლმა შვილებმა შეკრეს რატომღაც პირი მამის წინააღმდეგ და ლაჩრულად, საზიზღრად გაწირეს. თანაც ვინ?— კაცი კი არა, ღმერთისხელა ადამიანი, ერის თავკაცობა და მისი მფარველობაც რომ იკისრა ყველას და ყველაფრის წინაშე, მაგრამ საკუთარ თავს კი ვეღარაფრით გადაეფარა. ვინ გვაპატიებს ამ დანაშაულს, რომლის შესახებაც წინასწარ ყველამ ყველაფერი იცოდა? რატომ არ გავჩნდით ქვეყნად ამ ერთი ასი წლის წინათ. იქნებ განგებას ჩვენთვის ილიასეულ რედაქციებში მის მხარდამხარ ტრიალი ერგუნებინა, და ვინ იცის, მისი თანამგზავრობაც კი დაეკისრებინა იმ საბედისწერო მგზავრობისას, რათა ნათელ შუბლს ამ ჩვენი მკერდით გადავფარებოდით!



საოცარია! რამდენი ათასწლეული ჩამოიტოვა ჩვენმა ერმა ადამიანური საზიარგადოების განვითარების გზაზე და თითქოს სწორედ ილია იქცა შემკრებად მთელი ჩვენი სასოებისა და ტკივილისა უმძაფრესი გარდამავალი პერიოდების გზაჯვარედინზე. სხვა საუკუნე დაიწყო, სხვა ხანა, სხვა ეპოქა. სხვაგვარი მოქმედებაც გვმართებდა უკვე. აბა, მოდით, ერთად ვეძიოთ ჩვენს ცნობიერებაში ილიასებრ ყოველი ღირსებითა და მთლიანობით შემკული, მტკიცე, შეუვალი და უკომპლექსო პიროვნება, არასოდეს რომ არ მიუღია შოუ-ცხოვრებით თავშექცევა და ხელმწიფისხელა ავტორიტეტთან ერთად საკუთარ ინტელიგენტურ სახეში ერთად მოაქცია ქვის მთლელის, მჭედლის, მეცხვარის, ხაბაზის, მეზვრის, მეფუტკრის, მეაკვნის შეუვალი ვაჟკაცური, შთამაგონებელი და გამაკეთილშობილებელი თვისებები.

ამ ჩვიდმეტი წლის წინათ ინგლისის დედაქალაქ ლონდონში ყოფნისას, საბჭოთა საელჩოს მდივანმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ შემახვედრა ცნობილ ქართველოლოგ დევიდ ლანგს, რომელმაც სასაუბროდ შინ მიმიწვია, ხოლო დამშვიდობებისას — თხელი, მომცრო ფორმატის წიგნი მომიძღვნა ლონდონური შეხვედრის სამახსოვროდ. წიგნს გამჭვირვალე, პერგამენტის სუპერი ეკეთა. გადავშალე და ვხედავ — 1895 წელს პიკადილზე, ბერნარდ კარიჯის გამომცემლობაში დასტამბული, მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი თავად ილია ჭავჭავაძისეული „განდეგილი“ მიმიღია საჩუქრად. უნიკალურმა „პრეზენტმა“ დაუვიწყარი რელიკვიებისა და ნივთების კარადაში, ჩემს მშობლიურ მიწა-წყალზე, რასაკვირველია, საპატიო ადგილი დაიმკვიდრა, მაგრამ ჩემეუ-

რადგან...

ვასილ მჭედლიშვილი

ლი განცდების რეზერვუარში დაცულია ის მღელვარებაც, სასტუმროში დაბრუნებისას რომ მომეძალა ილიასთან ერთი-ერთზე, მის ბეთლემურ სიმაღლეზე განმარტოების გამო ღამის ალბიონისა და გვიანი ბრიტანული შემოდგომის ლურჯ გარემოცვაში. მარჯორი უორდროპი მკითხველს ამცნობდა შესავალში:

„...ინგლისელი მკითხველი ასე თუ ისე იცნობს სპარსულ ლიტერატურას, მაგრამ ძალზე ცოტა რამ თუ იცის ქართული ლიტერატურის შესახებ, თუმცა ეს ლიტერატურა, უდავოდ, ყურადღების ღირსია. XII საუკუნეში შექმნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ფირდოუსის „შაჰ-ნამესთან“ შედარებისას არაფერს ჰკარგავს. უფრო მეტიც, შეძლებს კი თანამედროვე სპარსეთი ბარათაშვილის ან ჭავჭავაძის გვერდით დადგომას?

კავკასიურმა ქრისტიანულმა სამეფომ ბუნებრივად შეითვისა აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურათა ნიჭიერების განსაკუთრებული მადლი, თავიდანვე მიაღწია განათლების მაღალ საფეხურს და მიუხედავად განუწყვეტელი მძიმე ომებისა, ცოცხლად შემოინახა ლიტერატურის შუქი... თავადი ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წელს. მისმა გვარმა მრავალი შესანიშნავი პიროვნება შესძინა საზოგადოებას ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩათვლით (1786-1846), ბაირონის გავლენას რომ განიცდიდა... თავადმა ილია ჭავჭავაძემ განათლება ტიფლისის გრამატიკულ სკოლასა და სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო. 1863 წელს მან დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია მის თანამემამულეებზე. იმავ წელს დაწერა მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“, სადაც უმიზნო ცხოვრების სურათი დაგვიხატა. მოთხრობამ შესძრა ქართველობა, ავტორმა მიზანს მიაღწია — თანამემამულეებმა როგორც სარკეში, ისე დაინახეს თავი. ჯერ რისხვით აღენთნენ, მერე — შერცხვათ, ბოლოს კი, გამოფხიზლდნენ კიდეც გამოსასწორებლად.

ჭავჭავაძის მწერლობა აქტიურად მოიცავს 40-წლიან პერიოდს და 3 ნაწილად იყოფა. პირველ პერიოდში კრიტიკოსია და სატირიკოსი, ცდილობს ადამიანების გამოყვანას ლეთარგიული ძილიდან. მეორეში — წარსულის დიადი ამბების გახსენებითა და პატრიოტთა გმირული საქმეების გადმოცემით ხალხს ღირსეული ცხოვრებისათვის ამხნევებს. ბოლოს კი, იმ საფეხურს მიაღწია, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს წმინდა ესთეტიკური მწვერვალი...“

შემდეგ მ. უორდროპი აღნიშნავს, რომ სწორედ ბოლო პერიოდს განეკუთვნება პოემა „განდეგილი“, რომელიც 1883 წელს შეიქმნა და სიმბოლური დასასრული აქვს. ადვილი შესაძლებელია, განდეგილში ნაგულისხმევია შუა საუკუნეები და ყმაწვილ ქალში კი — ნათელი რენესანსი, რომელიც დასავლეთთან შედარებით ასე გვიან შემოვიდაო საქართველოში, — ასკვნის მთარგმნელი და აქ, რასაკვირველია, თავისი განსწავლულობის მიუხედავად, მაინც ვერ ჩასწვდომია ბოლომდე ჩვენი აღზევებისა და დაცემის ცვალებადობათა რიგს... შემდეგ, ყველაფერი უკვე ნორმაში მოდის და იგი განუმარტავს ინგლისელ მკითხველს, რომ პოემაში აღწერილი ყმაწვილი ქალის სიტურფისა და სილამაზის გვერდით ვერც არსებებდა მორჭმული შეხედულებებით ნაკვები ცხოვრება — განდეგილს რომ ეცილებლად უნდა გაეზიარებინა თავისი სტუმრის სიხალისე, მიეღო გემო და ეშხი სისხლსავსე ცხოვრებისა ან მომკვდარიყო!.. თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაშიც შექმნილა მრავალი მოთხრობა ძველი ბუდისტური ლეგენდების მოტივზე, „განდეგილი“ კი ყველა ამათგან განსხვავდებაო გასაოცარი სიმსუბუქით. ვერც ვერავითარ ძალდატანებას შეხვდებით, ვერც კლეოპატრასა ან სემირამიდასნაირი რომელიმე სახე დაგიდგებათ წინ, მღვიმეს შეფარებული პიტალო დოგმატიკოსი როგორმე გზას რომ ააცდინოს. პირიქით, გამოყვანილია უბრალო ქალი, გულუბრყვილო და პირმშვენიერი ასული, განდეგილს წმინდა სიყვარულისა და გულახდილი საამური ცხოვრების ამბავს რომ აცნობს.

„...მიუხედავად ამგვარი სიმარტივისა, მოტივირება შეუდარებლად დახვეწილია და ძლიერი. სტილი ორიგინალში ჰარმონიულად მოსჩქეფს. აღწერის მანერა სავსეა მაღალი პოეტურობითა და ყოველი სტრიქონიც ბუნების უნაზესი სიყვარულით ფეთქავს... ვწუხვარ, რომ ჩემი თარგმანი ასე შორსა დგას ორიგინალიდან და დასავლეთისთვის უცნობი ენის შესწავლისა და იდიომების ახსნის სირთულე ჩამითვალეთ ბოდიშის მოხდად“.

პატარა წიგნაკი ვეებერთელა ენერგიას მაწვდიდა საუკუნისწინანდელი ტკაცუნა ფურცლებიდან. მიმზერდა ილიას ჯერ კიდევ ცოცხალი, მშვიდი, საკმაოდ ახალგაზრდული ფოტოსურათი გამოცემის ტიტულიდან, და მისი ხავერდოვანი თვალებიც ისეთსავე შუქს მასხივებდნენ, როგორც ეს სიონის თაღებქვეშ ამაღლებულ ეროვნულ წმინდანთა ხატებს სჩვევიათ. ამ წიგნის გამოცემის დროს ილია ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა იყო და სულხელდაკაპიწებული ეწეოდა თმაგაშლილი მოძღვრის ჭაპანს.

ასე არასოდეს გამჭირვებია მცირე ფორმის საჟურნალო მასალის დაწერა, რადგან...

ლევან სანიკიძე

„მოვიდოგით, მეფოგაო ისრაელისაო, რამეთუ — ეგუნურეგიდეს მოჰკალით, უგადრუკნო და წარწყმედილნო, უფალი და ეს-ხოვარი ყოველთა, და იქმენით ბოროტად მკვლელნი ფემოსა-მედისა თქვენისა!“

ბოდეგა ელიოზ მცხეთელის ფენისა

ეროვნული თავისუფლება!

ეროვნული დამოუკიდებლობა!

არიან დედამიწაზე ბედნიერი ერები, რომელთაც ეს „უცნაური საფიქრალი“ არ ეფიქრებათ.

ხოლო, ქართველმა ხალხმა მთელი თავისი ისტორია სწორედ ეროვნული გადარჩენის, ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლაში გამოატარა.

„ვიქნები თუ არ ვიქნები ვითარცა ერი ხვალ, ზეგ, მერმისს? გადავრჩები თუ ვერ გადავრჩები, ვიარსებებ თუ ვერ ვიარსებებ?!“ — აი, მარადიულ შემარყეველი საფიქრალი და „საკითხავი!“ მცირერიცხოვანი ერებისა.

მაგრამ დანასისხლად გადამტერებული საისტორიო ბედისწერისაგან ქართველ ერს მაინც დასდევდა ეს „იღბალი“: ყოველ უმძიმეს, ეროვნული ყოფნა-არყოფნის მდგომარეობათა შექმნის ჟამს უნდა გამოჩენილიყო ვინმე „ეროვნული წინამძღოლი“, „ძოძღვარი“, „ერისმთავარი“, „მესაჭე“, „ბელადი“, გვირგვინოსანი თუ უგვირგვინო „მეფე“, რომელიც „ზეგარდმო ნიჭით“, უტყუარი ალღოთი და გერშით, ვითარცა მოსე, უწინამძღვრებდა და გამოიყვანდა მშობელ ხალხს უეჭველი დაღუპვის მარგუნებელი სამყაროდან.

მაგრამ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე ძნელი იყო „ერისმთავრობა“, „ერისმძღვრობა“, „ერისმწყემსობა“, — ძნელი იყო, რადგან უამრავი „იზმით“ ავსებულიყო აზროვნების ბედისწერით ატანილი ეს დრო-ჟამი: კაპიტალიზმი, იმპერიალიზმი, კოლონიალიზმი, მილიტარიზმი, ანარქიზმი, ცარიზმი, შოვინიზმი, ნაციონალიზმი, მონარქიზმი, პარლამენტარიზმი, ანტაგონიზმი...

და ვინ მოთვლის კიდევ — რამდენი „იზმი“?!

ხოლო, ყოველი „იზმი“ თავის საკუთარ, თავის სასისხლოს მოითხოვდა. დიახ, სისხლს! კაციშვილის სისხლს!

მცირერიცხოვანი ერები კი განსაკუთრებით ზარალდებიან მსოფლიო „იზმებისათვის“ უზღვავი სისხლის გაღებით.

მცირერიცხოვანი და აქტიური ერები!..

საქართველოს კი არასოდეს, მთელი მისი ხანგრძლივი ისტორიის გასწვრივ, არ დაუთმია „მსოფლიო აქტიურობა“. არასოდეს იგი არ ყოფილა ოდენ გულგრილი მეთვალყურე და „გამოწყვეტილი“ მაჩანჩალა რაიმე და რომელიმე მსოფლიო მოვლენისა, მსოფლიო მოძღვრებისა, იდეისა, ნოვატორული თუ რენესანსული მსოფლიო ინტელექტუალური მიღწევისა. გამოწყვეტილ კი არა, უბრალო „მიმდევრობას“, თუნდაც კეთილშობილურ ეპიგონობასაც არ კმარისობდა და არ „კადრულობდა“ ქართველი კაცი. იგი მთელი არსებით, სულისა და ხორცის სრული შეწირვით უნდა მისცემოდა ყოველ მსოფლიო მოვლენას და, რაც მთავარია, უნდა მისცემოდა საკუთარი ეროვნული სულის განფენილობით, გამორჩეული კაზუსის დონეზე აყვანილი ეროვნული „ნოვატორობით“ და „თვითმყოფობით“.

ასეთი იყო ქართველი კაცი — მუდამ „მსოფლიო აქტიურობით“ და ყოველ მსოფლიო „მოძრაობაში“ უაღრესად ეროვნული „ნოვატორიზმით“. ასეთი იყო იგი ძველ საუკუნეებში, ასეთი იყო შუა საუკუნეებში, ასეთად დარჩა ახალ საუკუნეებშიც.

მეცხრამეტე საუკუნე მსოფლიო „იზმების“ ციებ-ცხელებას მოეცვა და საქართველოც — ვითარცა მსოფლიო — გლობალურ მოვლენათა უაღრესად აქტიური ნაწილი („ცხელი წერტილი!“) — იმავე ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი.

ძნელი იყო მაშინდელ საქართველოში „ერისმთავრობა“ და „მწყემსმთავრობა“, ძნელი იყო, ვინათგან ბევრი იჩემებდა „ერისმთავრობას“, „მწყემსმთავრობას“, „ბელადობას“, „მესაჭეობას“ და სხვათა მისთანათა.

და ყოველ მათგანს ცალკეულად აეჩემებინა, რომ მას ერთადერთს ეპყრა ხელში მოსეს კვერთხიც, დავითის ქნარიც და სოლომონის ბეჭედიც.

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე საქართველო თითქოს მიჰგავდა ქრისტესდროინდელ პალესტინას, სადაც ბატონობდა „პირველი რომი“ და რომაელი იმპერატორის უღლის ქვეშ მოქცეული მცირე ქვეყანა ავსებულიყო უამრავი „წინასწარმეტყველით“, „მესიით“, „ღმერთით“. მაგრამ ერთადერთი „ღმერთი ჭეშმარიტი“ მათ შორის აღმოჩნდა ოდენ იეშუა ნაზარეველი!

ასევე საქართველო — „მესამე რომის“, ანუ რუსი იმპერატორის უღლის ქვეშ მოქცეული მცირე ქვეყანა, ავსებულიყო უამრავი „ლიდერით“, „ბელადით“, „მესაჭით“. მაგრამ ნამდვილი და ჭეშმარიტი მესაჭე მათ შორის აღმოჩნდა ოდენ ილია ჭავჭავაძე!

ორივე გმობდა სისხლის დაქცევას — ნაზარეველიც, ჭავჭავაძეც.

ორივე იყო გმირი სიტყვისა, მხოლოდ სიტყვისა.

მაგრამ სიტყვა მათი იყო „სიტყვა ღმრთისა თანა“.

და სწორედ „ღმრთისა-თანობა“ არ აპატიეს არც ნაზარეველს, არც ჭავჭავაძეს...

...და დამდგარიყო ქრისტეს აქეთ წელი — 1907.

თვე აგვისტო, რიცხვი 30, დღე ხუთშაბათი.

ერთი საათი ილია ჭავჭავაძის მკვლელობამდე.

მწვანე სუფრა და შავ გულთა ძგერა წიწამურის ტყეში.

სუფრის გარშემო შავგულიანი თორმეტი კაცი.

მათ შორის ხუთი „რჩეული“ — გიგლა ბერბიჭაშვილი, ლომა (გიორგი) ხიზანიშვილი, პავლე აფციაური (ფშავლიშვილი), ივანე ინაშვილი და კიდევ „ვიღაც“...

სუფრიდან ხუთ ნაბიჯზე ხუთი შავლულიანი ბერდანა-თოფი წევს, მძიმე დუმილით დატენილი და დამძიმებული.

შავი ღვინით სავსე შავი რქა მეხუთედ ჩამოატარეს.

და წარმოიშალნენ, სისხლგამძვინვარებულნი და საფეთქელგახელებულნი.

დრო იხელთეს შავმა ბუზებმა და გაალმასებით დააცხრნენ გუდის ყველისა და ცხვრის დუმის ნამუსრევთ.

ხუთი გაქონილი, შავფრჩხილიანი მარჯვენა დასწვდა ხუთ ბერდანას.

შავბერდანიანი ხუთეული ტყის პირას ჩანაპირდა და ჩასაფრდა...

დგანან და ელიან სიკვდილით დატენილი თოფებით, გულუძვრელნი და გულჯაგრიანნი, უდიდესი თვისტომის მკვლელობაზე ნერწყვმორეულნი.

უფლის მკვლელობით ისტორიაში შესასვლელად ემზადებიან საკუთარი სულის მესაფლავენი.



ბევრს ისე ჰგონია, რაც კი სასარგებლო რამ გამოგონება არის ეხლა, ყველაფერი ახალი არისო, ევროპის ცივილიზაციამ მოიგონა და მოიტანაო, თვით ევროპელნიც ამ აზრისანი იყვნენ წინად და ბევრი ეხლაც არიან. ხოლო ამ ბოლო დროს თანდათან მტკიცდება, რომ არც ერთი ახალი გამოგონება არ არის ეხლა, რომ უწინდელ დროს ჩინელებს არ ჰსცოდნოდათ. დამტკიცებულია, მაგ. რომ ჩინელებს უწინდელ დროს თოფის წამალი ჰქონიათ, აგრეთვე რკინის გზები, ტელეგრაფი, ველოსიპედი, ტელეფონი და სხვა.

ჟურნალ-გაზეთები ხომ სულ ახალი საქმეა, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, ყველაზე უძველესი გაზეთი პეკინში იბეჭდება, სახელად ამ გაზეთს ეწოდება „კინპან“ და აგერ 1.000 წელიწადია, თურმე, რაც იბეჭდება. სულ უწინ ეს გაზეთი თვეში ერთხელ გამოდიოდა, მერე მთელის 400 წლის განმავლობაში კვირაში ერთხელ, 1800 წლიდგან დაწყობილი ეს გაზეთი იბეჭდებოდა ყოველ დღე, ეხლა კი დღეში სამჯერ გამოდის. დილით ეს გაზეთი იბეჭდება ყვითელ ქაღალდზე, შუადღისას თეთრზედ და საღამოთი ყომრალ ქაღალდზე. ამგვარად კაცი არ მოსტყუვდება და გაზეთის გამყიდველი ერთის მაგიერად მეორეს ვერ მიაჩეჩებს ხელში.

ჩვენს სასწავლებელში სრულებით არ ასწავლიან ანატომიას, ანუ ადამიანის აგებულობას, ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ქალებმა არ იციან და ვერც წარმოუდგენიათ, რა მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის კორსეტი. საკმარისია ვსთქვათ, რომ კორსეტი გულს უჭერს, სუნთქვას აძნელებს და ყველა დაგვეთანხმება, რომ სწორედ ეს იქნება მიზეზი, რომ ვინც კორსეტსა ხმარობს, ხშირად სჩივის ხოლმე, თავი მტკივა, შაკიკი მაწუხებსო და სხვა.

ერთი მკურნალი ჭალი ქ-ნი საროტი ძლიერ დაფიქრებულა იმაზედ, თუ რა ვნება მოაქვს კორსეტს, მაგრამ თვითონვე ამბობს, რომ, რაც უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიდან: „ღელა-ისტორია“

(ერთხელ ჰერმოლაოსმა ჰკითხა კალისთენეს: როგორ შეიძლება ადამიანმა უკვდავი სახელი მოიპოვოსო. — როგორ და, დიდი ადამიანის მოკვლითო, — უპასუხა კალისთენემ. იგი ალექსანდრე მაკედონელის მოკვლას მიანიშნებდა).

მზე საშუადღეოზე დაეყუდა—მძვინვარე, ცხელდორბლიანი.

ილიას მკვლელობამდე — 45 წუთი...

...თბილისიდან წამოხული ეტლი ავჭალას გასცდა.

საგურამოდან მოურავს შემოუთვლია თბილისში, ბატონი სასწრაფოდ უნდა მობრძანდესო.

და მიდიან ახლა საგურამოში.

უკან ილია და მისი მეუღლე, ოლღა გურამიშვილის ქალი, სხედან; წინ კოფოზე — მეეტლე თედო ლაბაური და ილიას მსახური იაკობ თარაშვილი...

...2000 ნაბიჯი — წიწამურის ტყემდე.

40 წუთი — წიწამურის თოფის გავარდნამდე.

ჯვრის მონასტრის ხილვაზე ჯვარი ისახა ოლღამ.

ილია კი ღრმად ჩაჰყოლოდა ფიქრთმეტყველებას.

„ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღაბებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა“... ერთ-სულ და ერთ-ხორც.

ერი ჩვენი, ერი ქართველი, გონებით საკვირველი, სინდისით....

გონება, სინდისი... ორივე ერთ ცნებაში ჰქონდა მოქცეული ქართველ კაცს და ორივეს ერთად გონება ერქვა. „გონება ამხელდა“, „გონება კარნახობდა“, „გონება ქენჯნიდა“, „გონება აწუხებდა“. დასაბამითგან იგულისხმებოდა ესეც: გონება არის ადამიანი და რაკი შექმნილხარ ადამიანად, გონება არის შენი ზნეობაც. ხოლო, შემდგომ, ვინ იცის რა საზოგადოებრივმა წვა-დაგვამ გახლიჩა გონება იგი ცალკე წმინდა გონებად და ცალკე კიდევ შინაზნეობრივ „მი-მოქცევად“...

...1500 ნაბიჯი — წიწამურის ტყემდე.

30 წუთი — წიწამურის თოფის გავარდნამდე.

სვეტიცხოველის ხილვაზე პირჯვარი ისახა და ილიას გარდასახა ოლღამ.

ილია კი ისევ ღრმად ჩაძირულიყო ილიაში.

„აგერა მცხეთაც — სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართვლის მორჭმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების...
სადაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა
ქართვლის გულიდან აღმოცენილი“...
„ქართვლის დედაო, ძუძუ ქართვლისა...“

იმსხვრეოდნენ და იძირებოდნენ ილიას ლოგოსნი ილიას სულში.

„ქართვლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო!“..

„წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტვრად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება...“
„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა...“

...1000 ნაბიჯი — წიწამურის ტყემდე.

20 წუთი — წიწამურის თოფის გავარდნამდე.

და ილიას სულში ერთბაშად გაიხსნა ელიოზ მცხეთელის დედის გოდება: მოჰკალით, მოჰკალით ღმერთი, უფალი მოჰკალით, თქვენ უგუნურნო!..

ფიქრი ფიქრს ათოვდა ილიას სულში.

. . . . . .

ხშირად ადამიანებს უფრო ეწადნიერებათ და ეხერხებათ მოკვლა საკუთარი ღმერთისა.

ცოცხალ ღმერთს ვერ იტანენ.

მკვდარი ღმერთი კი უყვართ, — თვითონვე რომ მოჰკლავენ და თვითონვე გაღმერთებენ.

და მოჰკლეს ღმერთი ჰებრაელთა... ხელი შეიგინეს სამარადჟამოდ...

ანდა... რომ არ მოეკლათ, იქნებ ღმერთი არც იქნებოდა?!.

(ათოვდა ფიქრი ფიქრს ილიას სულში)...

500 ნაბიჯი — წიწამურის ტყემდე.

10 წუთი — წიწამურის თოფის გავარდნამდე ანუ — ვიდრე ფიქრის თოვა გათავდებოდეს...

„ჩვენო არაგვო, რარიგ მიყვარხარ!
ქართვლის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...“
„და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდეებზე გადასხმულია...“

„და წმინდა სისხლი ქართველისა, ქართველის ხელით დაქცეულია“...

...„ვაი თქვენ უგუნურნო და უბადრუკნო, რამეთუ თქვენ თვითონ მოჰკალით შემოქმედი ღმერთი თქვენი“...

10 ნაბიჯი — წიწამურის ტყის პირიდან.

1 წუთი...

მეეტლემ უცებ ეტლი დააყენა და დააქვავა.

უმალ ტყემ ხუთი თოფი გამოიშვირა.

ეტლიდან გადახტა იაკობ თარაშვილი.

„კაცნო, ვინა ხართ, არ გვესრ...“

სიტყვა ჩაუჭრა თოფის გრიალმა და თარაშვილი თავდამხედ დაენარცხა მიწას.

ილია უკვე ფეხზე იდგა, ჭაბუკურად გაფიცხებული.

„შესდექით, უბედურნო, ილია ვარ!!!“

და წამსვე ოთხი თოფი გავარდა ერთად.

გათრთოლება უკანასკნელი ფიქრისა.

მკვდარი ესვენა თავადი აზრი და სინდისი საქართველოსი.

საქართველოს უგვირგვინო მეფე მაინც გვირგვინით აღსრულებულიყო — წამების, ვნების, ეკლის გვირგვინით.

იქნებ, მაინც უკანასკნელად ეს სიტყვა გაფითრდა და გაშრა მის გრძნეულ ბაგეზე:

„სა—ქარ—თველო...“

დრო გაჩერდა...

უქადაგო ქალებს კორსეტის წინააღმდეგ, მაინც ვერას გახდებითო. ამიტომ ქ-ნ სარორტს თვითონვე გამოუგონია იმგვარი კორსეტი, რომელიც სრულებით არ არის მავნებელი და იმედიცა აქვს, რომ ასეთი კორსეტი ხმარებაში შემოვაო.

* * *

სოფლის ოჯახის პატრონს ყველას გამოუცდია თავისს თავზედ, რამდენად მავნებელია ქათმებისათვის, მტრედებისათვის და სხვა შინაურ ფრინველისათვის სხვადასხვა გვარი მწერი: ქათმის ტილი, ბაღლინჯო და სხვა. ხშირად ასეთს მწერს მთელი საქათმე ამოუგდია. ამ მწერის წინააღმდეგ სულ უბრალო, იეფი და უგბარი საშუალება არის, აიღეთ კვერცხი, გახვრიტეთ ორ ალაგას და კვერცხი დააცარიელეთ. მერე ცარიელ კვერცხში ჩასდეთ პატარა ნაჭერი ღრუბელი და შიგ ჩაასხით ცოტა ზეთი და შემდეგ წმინდა სანთლით გადალესეთ. ეს კვერცხი სხვა გამოსაჩეკ კვერცხებთან ჩასდეთ საბუდარში და არც ერთი მწერი საბუდარს აღარ მიეკარება.

* * *

ინგლისურ გაზეთებში ამ ჟამად დიდი კამათობაა შესახებ იმისა, როგორა სჯობია ქალისათვის ცხენზედ ჯდომა, გვერდზე, ქალის უნაგირზე, თუ ვაქკაცურად. თურმე გვერდზედ ჯდომა ცხენზედ შემოიღო ინგლისში დედოფალმა ანნამ. მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ ამ დედოფალს ერთი ფეხი მოკლე ჰქონდა მეორეზე და იმიტომ შემოიღო, რომ ეს ნაკლი ხალხს არ შეემჩნია. დედოფალს მთელმა ინგლისმა წაჰბაძა და ინგლისიდგან ეს ჩვეულება მთელს ევროპაში გადაიტანეს. ამ ჟამად ინგლისელ ქალებს განძრახვა აქვთ თავი დაანებონ ამ ჩვეულებას და ისხდნენ ცხენზე, როგორც მამაკაცნი სხედან. ტრანსვაალში, იაპონიაში და საზოგადოდ ყველგან, ევრპის გარდა, ქალები ისე სხედან ცხენზე, როგორც მამაკაცნი. ამტკიცებენ, რომ ჰიგიენის მხრივ სრულებით არაფრად არის სასარგებლო გვერდზე ჯდომა ცხენზედ და პირიქით, საშიშიც არის, რადგანაც ამ გვარად ცხენზედ მჯდომი ქალი უფრო ადვილად გადმოვარდება და დაიშავებს რასმე. დროა თავი დავანებოთ ამ მავნებელ ჩვეულებას, რომელიც კოჟლმა დედოფალმა შემოიღოვო — ამბობენ ინგლისელი ქალები.

* * *

კარგად მოგეხსენებათ, რომ ამერიკაში განჭორწინება და თოხლო კვერცხის გადაყლაპვა ერთია. მაგალითებრ, უკანასკნელს ოცს წელიწადს შეერთებულს შტატებში 328, 716 ცოლ-ქმარი განჭორწინებულა. რას გაუყრია ეს ერთ სულ და ერთ

(გაგრძელება 21-ე გვ.)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი დიდი ნუგეში!...“



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთა ბადრიძე

ილია ჭავჭავაძის პეტერბურგში მოღვაწეობის პერიოდი ჩვენ უმთავრესად მემუარული ლიტერატურით (მ. ბოლქვაძე, გ. ყურული, გ. ლასხიშვილი, კ. ცინცაძე, მ. კოვალევსკი...) ვიცით. აშკარად ნაკლულადაა გამომზეურებული ამ პერიოდის სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროში მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები.

სახელმწიფო საბჭოში გამგზავრების წინ ილიასთვის მცირე ნარკვევი გაუგზავნია თედო (თევდორე) ყორდანიას რუსეთის მფლობელობის წინა პერიოდის საქართველოს აგრარული ურთიერთობების შესახებ. მორიდებით უთხოვია დიდი მწერლისათვის, რომ ეს მასალა გამოეყენებინა საჭიროებისამებრ, როცა იმპერიის პარლამენტში აგრარული საკითხის განხილვა დაიწყებოდა.

თ. ყორდანიას ნარკვევი საინტერესოა არა მარტო მისი და ილიას საზოგადოებრივი კონტაქტების უკეთ წარმოსადგენად, არამედ იმიტომაც, რომ ერთგვარად დამატებით შუქს ჰფენს ილიას პოლიტიკური მუშაობის სტილს. თავისთავადაც თ. ყორდანიას ნარკვევი ძვირფასი ისტორიოგრაფიული ძეგლია, რამდენადაც კარგად გვიჩვენებს მისი ავტორის კონცეფციის ძირებს ბატონყმობის შესახებ. ამ თვალსაზრისს შემდგომში თ. ყორდანია სხვა ნაშრომებშიც ავითარებდა.

როგორი საკამათოც არ უნდა იყოს ავტორის ზოგადი თვალსაზრისი ამ პრობლემაზე, ერთი რამ აშკარაა, რომ მან აქ პირველმა გაამახვილა ყურადღება ქართული ბატონყმობისა და რუსული „კრეპოსტნიკობის“ თავისებურებათა გარშემო. ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით ეს საკითხი ახლაც სავსებით სრულად არაა შესწავლილი. საყურადღებოა, აგრეთვე, პოლიტიკური აზრი ამ ნარკვევისა. თ. ყორდანია ისტორიოგრაფიული კუთხითაც ამაგრებს თერგდალეულთა თეზისს ქართველი ხალხის შედარებითი ჰარმონიული სოციალური არსებობის შესახებ წარსულ საუკუნეებში. ამ აზრისა იყო თვითონ ილია ჭავჭავაძეც.

თ. ყორდანიას ნარკვევები დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის პირად საარქივო ფონდში.

აი, ეს ნარკვევიც...

„ჩვენო დიდო ნუგეშო და სასოებავ, ბატონო ილია!

დიდად გაგვახარა თქვენმა არჩევამ სახელმწიფო საბჭოში; სჩანს ღმერთს და ღვთისმშობელს ჩვენზე მთლად ხელი არ აუღია...

თქვენი გონიერებისაგან დაფარული არ იქნება შემდეგი გარემოებანი, რომელიც მე შესწავლილი მაქვს საისტორიო საბუთებით და დღეს — კი, ჩემის აზრით, დიდად გამოსაყენებელია.

1. ყველა სახელმწიფო მამულები ჩვენის მეფეების დროს **მთელს საზოგადოებას ეკუთვნოდა და არა** მეფის გვარეულობას. სამეფოდ მარტო მეათედს იღებდნენ („სამოურაოდ“) იმ პირებისაგან, ვინც ამ მამულს მოხნავდა, ანუ ტყეს გაჰყიდდა სხვაზე (თავისი საჭირო ფიჩხი და ტყე ყველას შეეძლო გაეტანა **მუქთად**, აგრეთვე **საძოვარი** მუქთი იყო გარეშე იმ შემთხვევისა, თუ ჯოგს არ აძოვებდნენ).

2. **ეკლესიას** მამულები უმეტეს შემთხვევაში **პირობით ჰქონდა მიცემული** („საალაპოდ“), ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ის მამულები იმ გლეხებს ჰქონდათ ჩაბარებული თვითონ **შემომწირველთაგან**, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ იმ მამულის სარგებლობის სანაცვლოდ ყოველწელიწადს „აღაპი გადაეხადათ“. წინდაწინვე გადაწყვეტილი საალაპო ხარჯი უნდა მიეტანა ტაძარში, სამღვდელო პირებისათვის ეწირვინებინა, ყველასათვის აღაპი ანუ საზოგადო სადილი გაემართა და სხვ. **თუ გლეხი აღწერილს პირობას ასრულებდა, მამულს ვერავინ ვერ ჩამოართმევდა.**

3. ის საეკლესიო მამულებიც, რომელნიც ეკლესიას ეჭირა საკუთრებად (და არა პირობით, საალაპოდ), საეკლესიო **გლეხებს ვერ ჩამოერთმეოდა:** ეკლესია ვერ **გადაახახლებდა გლეხს,** თუნდაც ის მამული გაყიდულიყო უგლეხოდ — თუ არ მისის თანხმობით — მისი გაყიდვა არ შეიძლებოდა, რაკი იმ მამულზე გლეხი სახლობდა. **არც გლეხის გაყიდვა შეიძლებოდა „უმამულოდ“,** თუნდაც ის გლეხი „მკვიდრი ყმა“ ყოფილიყო. მამულის სარგებლობისათვის გლეხი თუ საყმო მოვალეობას ასრულებდა, მამული ვერასგზით ვერ ჩამოერთმეოდა (ხოლო ეს მოვალეობა სულ ადვილი იყო: ღალა მეათეთიდან დაწყებული არა უმეტეს მეექვსედისა, კულუხი ანუ ღვინის შემოსავალი საეკლესიო მამულებისაგან მეოთხედი შემოსავლისა, არას შემთხვევაში არა უმეტეს მესამედისა). რა თქმა უნდა, შეშა-ფიჩხი და საძოვარი საეკლესიო ტყე-მინდვრებისა მუქთად ეძლეოდა.

4. საბატონო ყმებიც **ამ წესითვე სარგებლობდნენ საბატონო მამულებით.** ბატონი გლეხს ვერ აყრიდა, თუ არ დიდის ორგულობისათვის, მიწას ვერ წაართმევდა, ვერ გაუყიდდა, დაებულს გადასახადს (ღალა-კულუხს) ვერ მოუმატებდა, ვერ გაუდიდებდა საძოვარს, შეშა-ფიჩხს ვერ დაუჭერდა და სხვ. მარტო მონების ანუ ფასით ნაყიდ კაცების, ტყვედ დარჩენილების გაყიდვა შეიძლებოდა უმამულოდ, გლეხის უდასტუროდ.

ჩვენში არასდროს არ ყოფილა „კრეპოსტნიკობა“, ჩვენში არსებობდა „ბატონ-ყმობა“, რომელსაც არავითარი ერთობა აქვს კრეპოსტნიკობასთან (გარეშე „მონებისა“ — მაგრამ მონების რიცხვიც ცოტა იყო საქართველოში და ამ მონებსაც — უფრო ურიებს, სომხებს, „ნაშოვნ კაცებს“, ნასყიდებს, ტყვედ წაყვანილებს — საქართველოს ერი დიდს უფლებას ანიჭებდა ფაქტიურად, თუმცა იურიდიულად ყოველ უფლებიდან განშიშვლებულნი იყვნენ). საქართველოში „კრეპოსტნიკობა“ რუსების დროს შემოვიდა ქურდულად, მოხერხებით, მთავრობა მოატყუა ადგილობრიმა თავად-აზნაურობამ ანგარების მოსაზრებით, მთელი საქართველო „გააკრეპოსტნიკა“, გლეხებს ყველა უფლება ჩამოართვა, მათი ქონება დაისაკუთრა, მტარვალობა მოხდა! ხალხის გმირნი არსენა და სხვებიც უნაყოფოდ ებრძოდნენ ამ მოვლენას, რადგან შეუგნებელთ და უმეცართ თვითონაც არ იცოდნენ, როგორ დაატყდა მათ ეს უბედურება და რა საშუალებით შეიძლებოდა მისი მოშორება.

მეორე უბედურება, რომელიც აგრეთვე ნელნელა და თითქმის შეუნიშნავად შემოგვეპარა, ის იყო, რომ სახელმწიფო და საეკლესიო მიწები რუსსახელმწიფემ თავის **საკუთრებად** აიღო, გლეხები შეავიწროვა და ბოლოს იმ ზომამდე მივიდა საქმე, რომ ან გლეხობა უფსკრულში უნდა გადაყარონ, ან უწინდებური წესი შემოიღონ ადგილმამულების შესახებ.

ჩვენს მწერლობაში ეს „უბედური კითხვები სრულიად გამორკვეული არ არის. დღეს კი (სახელმწიფო რჩევაში და სათათბიროშიც) მე უსაცილოდ საჭიროდ მიმაჩნია ამისი გამოკვლევა. სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთები („ივერიაც“ — კი!) პატრიოტულ კითხვებს გაურბიან, ისტორიას ზურგს აქცევენ, თავისი საკუთრის ჭკუა-სახსრებით უნდათ ქვეყნის ჩარხი დაატრიალონ... მაგრამ „გზა ნაგზევსაო, წყალი ნაწყლევსაო“ — ისე ჩვენ ქართველებს, ჩემის აზრით, ისევ ძველი გზალა გვიშველის აგრარულის კითხვის გადაწყვეტაში, რადგან სწორედ ეს კითხვაა შუაგული დღევანდელის სოციალურის ჭირ-ვარამისა.

თუ გაზეთში საკმაო ადგილს მომცემენ ან გამომცემელი აღმოჩნდება, მე ხელს მოვკიდებ **მოკლედ** გამოკვლევას ამ კითხვისას, რადგან ვრცლად მისი გამოკვლევა დიდ ხანს და დიდს თავისუფალს დროს თხოულობს, რომელიც მე არა მაქვს. მე მარტო მომავალ კანიკულებით შემიძლია ვისარგებლო.

მე იმ აზრისა, ვარ, რომ სახელმწიფომ გლეხებს უნდა ყველა მიწები დაუბრუნოს იმავე პირობით, რა პირობითაც საუკუნიდგან ეჭირათ ჩვენის ხელმწიფეების დროს და გარდა ამისა უნდა მოსპოს ის დიკობა, რომელიც გლეხის ეკონომიურს წყობილებაში შემოთესლა ჩვენში „ძალადგაკრეპოსტნიკებამ“. ეკლესიას უსათუოდ თავისი უფლება უნდა მიენიჭოს (ავტოკეფალია), რომლის წართმევის იურიდიული უფლება არავის არა აქვს მსოფლიო კრების დადგენილობის ძალით..

მომიტევეთ, რომ ავადმყოფობისაგამ ასე უხერხულად და არეულად გწერ წერილს. მარტო იმ გარემოებამ გამაბედვინა ამ მდგომარეობაში ასეთის წერილის მოწერა, რომ იქნება ჩემი თავი რაშიმე გამოგადგეთ-მეთქი იმ კაცს, რომელსაც განგებამ მოგიწოდა სახელმწიფო საბჭოში საქართველოს ინტერესის დასაცავად.

თქვენი ღრმა პატივისმცემელი
თევდორე ყორდანია“.

იყო ჯაჭვი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა თავადი ვიყავი, მაგრამ არც მაქვს მაჩემსა და არც მე, განსაკუთრებული არა გაგვაჩნდა რა. ვიზრდებოდი გლეხის ბავშვებთან, ვიცოდი ხალხის ჭირ-ვარამი და არ შემეძლო ნიკოლოზ მეფის თაყვანისმცემელი ვყოფილიყავი ლუკმა პურისათვის, რომელსაც იგი მაძლევდა ჯამაგირის სახით“, — წერს თავის მოგონებაში ყარამან გრიგოლის ძე ფაღავა, ერთ დროს დუშეთის მაზრის უფროსი.

არაა იოლი მაზრის უფროსობა, როცა ასე მოხშირებულია ქურდობა, მძარცველობა. ყარამან ფაღავა აი, ასეთ პირობებში, ვაჟკაცურად იდგა მოსახლეობის სიმშვიდის სადარაჯოზე და არა მარტო ახალგაზრდულ ენერგიას, უძილოდ გატეხილ ღამეებს, საკუთარ სისხლსაც არ ზოგავდა ყაჩაღებისა და მათ მსგავსთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ილია ჭავჭავაძე აფასებდა მაზრის უფროსის შრომას, მიუხედავად იმისა, როგორც ამას თვითონ ფაღავაც აღნიშნავს, იგი არ იყო პატივისმცემელი მაშინდელი ადმინისტრაციისა.

— თუ თქვენ ასე გააგრძელებთ მუშაობას, — უთქვამს ილიას მისთვის, — მალე მოეღება ბოლო მაზრაში ავაზაკობასო. ერთხელ, თავის დღეობაზე, ილიას საზოგადოების წინაშე აღუნიშნავს ახალგაზრდა ყარამანის ღვაწლი და გულმართლობა. დიდი ადამიანის ნათქვამი კეთილი სიტყვა გულში აღბეჭდია ხალხის კეთილდღეობისთვის გულანთებულ კაცს. ამის შემდეგ უფრო ხშირად დადიოდა ილიასთან საგურამოში და ილიას რომ უყვარდა, იმნაირი ქართულით საუბრობდნენ.

ყარამან ფაღავათი კმაყოფილი იყო გლეხობა. მათ არ დავიწყებოდათ წინანდელი უფროსის — გუდიევის მათრახის სიმწარე. ისინი შიშით ვერ ბედავდნენ გუბერნატორთან ჩივილს და ილიასთან კი გულს იოხებდნენ, კაკალ-კაკალ უყვებოდნენ ამბებს გუდიევის „კაიკაცობაზე“. ილიას თავად განუცხადებია გუბერნატორისთვის გლეხების საწუხარი, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

როცა გუდიევი ბაქოში გაუმწესებიათ პოლიცმეისტერად, მას, წესის მიხედვით, მთელი დოკუმენტაცია ყარამან ფაღავასთვის გადაუბარებია. ამ დროს, ერთი საიდუმლო დოკუმენტით მან გაიგო, რომ თვალყური უნდა ედევნებინა „ილია ჭავჭავაძის მოქმედებაზედ“. ყარამანს ამის თაობაზე მაშინვე უთქვამს: ეს ამბავი არახალია, ძველიაო.

ქურდებისა და მძარცველების საძიებლად მაზრის ახალ უფროსს სოფელში „სტრაჟნიკები“ ჩაუყენებია. შემდეგ გაუგია, რომ ილიას სწყენია ეს. ყარამან ფაღავა თავად ხლებია საგურამოში ილიას. ილია ძალიან აღშფოთებული ყოფილა: „ორი ავაზაკის გულისთვის ამდენი სტრაჟნიკი როგორ ჩააყენეთ სოფელში, ისინი უფრო არ შეაწუხებენ ხალხსო?“ ფაღავას მაშინვე მოუხსნია „სტრაჟა“.

პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტში კი იდო მიმართვა, რომლის მიხედვითაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური საქართველოში იყო ილია ჭავჭავაძე — თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე, რედაქტორი გაზეთ „ივერიისა“. რეაქციული წრეები კარგად ხედავდნენ, რომ „ილია ჭავჭავაძე იყო თვალსაჩინო ჭკუისა და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფლად მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით“. ცალკე საცენზურო კომიტეტი აბეზღებდა ილიას, რომ იგი უარყოფდა ცენზურის მითითებებს და „დაჟინებით განაგრძობდა ისეთი წერილების ბეჭდვას, რომელიც ადგილობრივ განვითარებულ ახალგაზრდობას აღელვებს“.

რევოლუციისა და რეაქციის წლებში სოფლებში ფარულად მოქმედებდნენ რევოლუციონერთა ჯგუფები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ყოფილი უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ყარამან ფაღავას მახლობელი შალვა ფხაკაძე თავის მოგონებაში წერს, რომ ყარამან ფაღავასთვის არაერთხელ უცნობებიათ, ამა და ამ სოფელში მეფის საწინააღმდეგო ფარული კრებაა დანიშნულიო. ყარამან ფაღავა სანდო რაზმელს გზავნიდა დანიშნულ ადგილზე და აფრთხილებდა, რომ დაშლილიყვნენ ან გადაენაცვლათ ადგილი და მხოლოდ ამის შემდეგ წავიდოდა რაზმით ვითომდა მეამბოხეთა შესაპყრობად.

ვარლამ რუხაძის მოგონებაში ნათქვამია, რომ „ყარამან ფაღავა დემოკრატიულად იყო განწყობილი, იგი რევოლუციონერთა დევნას არ აწარმოებდა და პირიქით, ზოგჯერ ეხმარებოდა კიდეც“.

ყარამან ფაღავა ერთი იმათგანი იყო, ვისაც კარგად ესმოდა ილია ჭავჭავაძის ღვაწლის ფასი. მოგონებაში იგი მორიდებით წერს: „ჩემთვის მიუწვდომელია, რომ ავწერო ილიას შეუდარებელი მოღვაწეობა კაცობრიობისა და, განსაკუთრებით თავისი სამშობლოსათვის“.

...გათენდა თავზარდამცემი დღე, 1907 წლის 30 აგვისტო, ხუთშაბათი. შეხვედრა გავარდა საქართველოში შემზარავი ამბავი: „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია და დაუჭრიათ მისი მეუღლე“.

ათ დღეს საქართველოს სიყვარული დარაჯობდა ილიას ცხედარს. ცხრა სექტემბერს იგი გამოასვენეს სიონის ტაძრიდან. ყარამან ფაღავა მათ რიგში იყო, ვინც ერთგულად ჭირისუფლობდა ილიას. ათი უძილო ღამე მან ფიქრში გაატარა, ხოლო გამოსვენების დღეს იგი ხელმძღვანელობდა სამგლოვიარო პროცესიას, რომელსაც ზღვა ხალხი მიჰყვებოდა.

ყარამან ფაღავა აწარმოებდა ილიას მკვლელობის ძიებას. იგი ღრმად ჩასწვდა ბოროტმოქმედების კვალს, რომელმაც პირდაპირ ილიას მამულის მოურავამდე — დიმიტრი ჯაშამდე მიიყვანა.

თავისი ძიების დასკვნები მან წარადგინა, სადაც საჭირო იყო და ერთხანს დააპატიმრეს კიდეც ჯაში. ჯაშს თურმე ყარამან ფაღავასთვის უხეშად მიუმართავს: მე გავთავისუფლდები და ჩემს ადგილას შენ დაჯდებიო. მართლაც, იგი მალე გაათავისუფლეს.

ყარამან ფაღავა წერს: „მე დაჟინებით მოვითხოვდი მკვლელობის მთავარი ორგანიზატორის კვლავ დაპატიმრებას და დასჯას. ამას მაბედვინებდა მეფის კარზე მყოფი გიორგი შარვაშიძე, რომელთანაც მიმოწერა მქონდა ილიას მკვლელობის შესახებ. შარვაშიძე მწერდა, გაბედულად იმოქმედე, არ მოეშვა ნამდვილი მკვლელობის გამოაშკარავებასაო. მაგრამ ვერაფერს გავხდი“.

მოხუცებულობის ჟამს ყარამან ფაღავა მოესწრო ხალხის სამართლიან რისხვას, რომელიც თავს დაატყდა ილიას ერთ-ერთ მკვლელს ბერბიჭაშვილს: იგი ხომ 1941 წლამდე ძველი რევოლუციონერის ყალბი სახელით სარგებლობდა და პერსონალურ პენსიასაც იღებდა. ყარამან ფაღავა მოწმე იყო სასამართლოზე.

ყარამან ფაღავას დოკუმენტებშია ცნობილი მკვლევარის კოტე გორდელაძის წერილი, სადაც ერთგან წერია: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ ვამზადებ წიგნს. მასალებიდან გამოვარკვიე, რომ თქვენ ბევრად ცდილხართ ამ საქმის გახსნისათვის და სწორი გზისთვისაც მიგიგნიათ, როდესაც ჯაშის დასჯას მოითხოვდით...“ წერილი დათარიღებულია: 1936 წ. 2. V.

ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის წლისთავზე ჟურნალი „ნიშადური“ წერდა: „ჯერ არ დამდგარა ილიას დიადობის აღნუსხვისა და დაფასების ხანა, ხოლო რაც დრო გავა წლითიწლობამდე თანდათან უფრო გაიზრდება, გაბუმბერაზდება. აღმაღლდება უმწვერვალეს კენწეროამდე. რაც დრო გავა და რაც უფრო მეტად მოვშორდებით 30 აგვისტოს 1907 წლის სამარცხვინო აქტს, უფრო მეტი ძალით შევიგრძნობთ ილიას დიადობას. მტერს კი ეგონა წიწამურთან დამთავრდებოდა ილია“.

...წიწამურს დარჩა ვარდისფერი ანდეზიტის ხუთმეტრიანი ობელისკი, ხოლო საქართველოს კი ილიას დიდი წიგნი — მისი განძი და ანდერძი. უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს!

ლალი მარტაშვილი,
ლიტერატურული მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი.

ვ. რუხაძე (ჭაღაჭიაშვილი), ივ. რუხაძე (რუ-ილ), ია ფინცაძე (ეკალაძე)
ნ. ჩხიკვაძე, ი. ნიკოლაიშვილი, ბ. ტბეიძე, ვ. რუხაძე.
გადღეგაზეული ჭ. ქუთაისში 1913 წ. ი. ჭავჭავაძის თაოსნ
ლიტერატურული საღამოს გამართვის შემდეგ.

სკოლა ილიას ნაფუძარზე

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ მისმა ქვრივმა ოლღა თადეოზის ასულმა გურამიშვილმა სამუდამოდ დატოვა მშობლიური სოფელი საგურამო, საყვარელი სახლ-კარი და თბილისში დამკვიდრდა.

დიდი მწერლის ლამაზი სამსართულიანი სახლი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში კულტურის ნამდვილი ცენტრი იყო, დადუმდა.

გულნატკენმა ქვრივმა ოლღა გურამიშვილმა-ჭავჭავაძისამ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიმართა თხოვნით, რომ საგურამოში, მის ბინაში, სკოლა გახსნილიყო. განცხადებაში კითხულობთ: „ქართველი საზოგადოებისა და საზოგადოდ ჩვენი ქვეყნისათვის დაუვიწყარმა მგოსანმა და საზოგადო მოღვაწემ, ძვირფასმა ჩემმა მეუღლემ ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძემ მკვლელების ხელით დალია უკანასკნელი დღენი სიცოცხლისა საქართველოს გულში — საგურამოში. რომ მისი სახელი მუდამ ცოცხლობდეს საგურამოს მიდამოებში, სადაც იგი აღიგზნებოდა და ხატავდა უკვდავ თხზულებებში სიყვარულს სამშობლოსადმი, მწუხარებას, გრძნობასა და წყურვილს — დაენახა საქართველოს აყვავებული და მისი მცხოვრებნი კულტურულად ამაღლებულნი, საჭიროა დაარსებული იქნას წერა-კითხვის სასწავლებელი იმ სახლში, სადაც იგი წერდა თავის თხზულებებს და სადაც მან დალია სიცოცხლის უკანასკნელი დღენი.

წერა-კითხვის სკოლა უნდა იყოს ილია ჭავჭავაძის სახელზე, სადაც საგურამოსა და მის ახლო-მახლო სოფლის ბავშვებმა უნდა მიიღონ აღზრდა და შეიძინონ პირველ-დაწყებითი განათლება. მე ვთხოვ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას ამავე 1908 წელს გახსნას წერა-კითხვის სასწავლებელი ჩემს სამსართულიან სახლში და შესაძლებლობისდაგვარად დახმარებას აღმოვუჩენ და.მას არ დავივიწყებ და შევიყვარებ უკანასკნელ სიცოცხლის დღემდე, როგორც ძეგლს დიდებულის მოქალაქისა და საქართველოს შვილისას. საზოგადოების გამგეობის უყურადღებოდ არ დასტოვებს ჩემს თხოვნას, რომ სკოლის შეძოსასვლელ კარებში ამოჭრილი იქნება შემდეგი წარწერა დაუვიწყარი მგოსნის დავით გურამიშვილის ლექსით:

„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“.
(გაზ. „ხომლი“, 1908, № 77).

ილიას ქვრივის განცხადება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ყურადღებით განიხილეს და იმ ხანებში გაზეთი „ამირანი“ (1908 წ. № 168) თავის მკითხველებს აუწყებდა: „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მოხსენება ალ. ყიფშიძის და ლ. ბოცვაძისა საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახელობის.სკოლის დაარსების შესახებ. რადგან გამოირკვა, რომ საგურამოში მოსახერხებელი სადგომი არ არის სკოლისათვის, გამგეობამ, თანახმად მოხსენებისა, დაადგინა: დროებით გაიხსნას წერა-კითხვის სკოლა ი. ჭავჭავაძის სახლის ქვედა სართულში“.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომლითაც იწვევდა მსურველს საგურამოს ახალდაფუძნებულ სკოლაში მასწავლებლად.

საგურამოში მასწავლებლად წასვლის სურვილი განაცხადა ახალგაზრდა პედაგოგმა, ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ ილია ზოსიმეს ძე რუხაძემ და მაშინვე გამოცხადდა საზოგადოების გამგეობაში ლუარსაბ ბოცვაძესთან. ლუარსაბმა გულთბილად მიიღო იგი და წარუდგინა იაკობ გოგებაშვილს.

იაკობის დავალებით ორმა თანამშრომელმა ილია რუხაძეს გამოუტანა რამდენიმე ცალი „დედა ენა“, რვეულები, ფანქრები და კალმები, რომ საგურამოში წაეღო.

როცა ი. რუხაძემ წასვლა დააპირა, იაკობმა მას მხარზე ხელი შეახო და უთხრა:

— გთხოვთ, ყმაწვილო, როცა საგურამოდან თბილისში დაბრუნდები, ჩემთან შემოიარო, გამაგებინო, თუ მუშაობის როგორი პირობები გექნება იქ. გახსოვდეს, დიდ ილიას სახლში მასწავლებლად მუშაობას იწყებ და ღირსეულად უნდა იმუშაო მისმა მოსახელემ...

მეცადინეობის დაწყების ერთი თვის შემდეგ ილია რუხაძემ თბილისში კვლავ ინახულა იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც მას საჩუქრად უშინსკის პედაგოგიური თხზულებანი გადასცა: ეს წიგნი კარგი სახელმძღვანელოა, მუშაობაში დაგეხმარებათო.

საგურამოში სკოლის გახსნას კმაყოფილებით შეხვდა ილიას ქვრივი ქალბატონი ოლღა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მადლობის წერილი გაუგზავნა. იმ წელსვე სკოლის გახსნით გამოწვეული სიხარული ოლღამ გაუზიარა ინგლისში მყოფ ილია ჭავჭავაძის მეგობარს მარჯორი უორდროპს.

სკოლა სოფლიდან მოშორებით იყო. ნახევრადშიშველ ბავშვებს ცუდ ამინდში უძნელდებოდათ სიარული. ილია წინამძღვრიშვილმა მერხები და დაფა გაუგზავნა, ხოლო ილიას ყოფილი მეფუტკრე, ადრე მასწავლებლად ნამუშევარი, დანიელ მასლოვი დღენიადაგ მხარში ედგა ილია რუხაძეს, ოჯახიდან ოჯახში დადიოდა და გულმხურვალედ მოუწოდებდა გლეხებს, რომ პატარები სკოლაში მიეყვანათ, ცოდნა მიეღოთ.

მართალია, საგურამოში ილიას სახელობის წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლა 1908 წელს დაარსდა, მაგრამ მისი ოფიციალური გახსნა მოხდა 1909 წლის იანვარში. სამწუხაროდ, ჭავჭავაძისეული შენობის ფართო და ნათელი ოთახები მეორე და მესამე სართულებზე მოიჯარადრის ხელში იყო, სკოლა კი თავიდანვე პირველი სართულის საკმაოდ ბნელ, სარდაფისებურ ოთახში გაიხსნა, სადაც ვიწროობაც იგრძნობოდა. მართალია, მასწავლებელი ზრუნავდა, რომ ბავშვები სამეცადინოდ ნათელ ოთახში გადაეყვანა, მაგრამ მოიჯარადრესთან ვერაფერს გახდა.

ილიას სახელობის სკოლა 1909 წელს ინახულა აპოლონ წულაძემ, დაესწრო გაკვეთილებს და კმაყოფილი დარჩა. მალე აპოლონმა თავისი შთაბეჭდილება გამოაქვეყნა გაზეთ „მომავალში“ (1909 წ. № 90). „...სკოლაში ძლივძლივობით ეტევა 30 მოსწავლე. ილია რუხაძემ გულმტკივნეულად განაცხადა: „შემეძლო სამოცი მოსწავლისათვისაც მომევლო, მსურველებიც იყვნენ, მაგრამ ოთახის სივიწროვის გამო უარი ვუთხარიო“.

ილია რუხაძე თავისუფალ დროს მოსწავლეებთან ერთად ხალისიანად ასუფთავებდა ილიასეულ კარ-მიდამოს და ასწავლიდა პატარებს ილიას დარგული მცენარეების გაფრთხილებას.

პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“ თავის ფურცლებზე პერიოდულად აქვეყნებდა წერილებს საგურამოს სკოლის მუშაობის შესახებ და კეთილად ახსენებდა მის შრომისმოყვარე მასწავლებელს.

ილია რუხაძემ საგურამოში 1911 წლის დამლევამდე იმუშავა და შემდეგ დედაქალაქში გადავიდა. დროის იმ მცირე მონაკვეთში მან ისეთი სიყვარული და პატივისცემა დაიმკვიდრა ხალხში, რომ მისი კეთილმოსაგონარი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.

ახლა საგურამოს ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლა, რომელიც სოფლის ცენტრში მდებარეობს და კეთილმოწყობილ შენობაში მუშაობს, თავისი არსებობის თითქმის რვა ათეულ წელს ითვლის. აქაურ მოზარდებს ეამაყებათ, რომ მათი სკოლა ილიას ნაფუძარზეც აღმოცენდა და ღირსეულად ატარებს ბრძენკაცი მწერლის სახელს.

შალვა მარკოზაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.
სოფ. საგურამო.

ეუბარება ჭადრაკი

ბარგი მოჭადრაკე რომ გახდე, დიდი ილიასავით დინჯი და აუღელვებელი უნდა იყო, — ამბობდა გალაკტიონი, როცა ჭადრაკზე ჩამოვარდებოდა საუბარი.

ვისაც ბედნიერება ჰქონდა, ეხილა ჩვენი სულიერი მოძღვარი ჭადრაკის დაფასთან, ერთხმად აღნიშნავენ მის თავგამოდებას საჭადრაკო ბრძოლისადმი. არტურ ლაისტი ამის შესახებ წერს: „მე მოწმე ვიყავი, როცა ილია კოტე მესხთან ერთად მთელი კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ თამაშობდა ჭადრაკს“.

ეს საგურამოში ხდებოდა. იმდროინდელი ჭადრაკი ახლაც ინახება დიდი მწერლის სახლ-მუზეუმში.

ილია მუდამ მზად იყო შებმოდა ღირსეულ მეტოქეს. იგი ადვილად არ გაეცლებოდა მოპირდაპირეს, დროც თუ ხელს უწყობდა.

ერთხელ ახლო მეგობრის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ხიზანიშვილის ოჯახში დავით კასრაძე შესწრებია ილია ჭავჭავაძის საჭადრაკო პაექრობას. ახალგაზრდა მწერალს სწორედ აქ უნახავს პირველად ბრძენი ილია. დავით კასრაძე შემდეგ წერდა:

— „მასპინძელმა, ნიკო ხიზანიშვილმა, ასეთი სიტყვებით დაურღვია ილიას იდილიური სამყარო:

— ბატონო ილია, კოტე ჭადრაკში გიწვევთ! — და ყიფიანზე მიუთითა.

კოტე ყიფიანი ჭადრაკის დაფას მისჯდომია, სვლებს აკეთებდა და თაჯისთვის ვარჯიშობდა.

ილია დინჯად მივიდა მაგიდასთან, სკამზე დაბრძანდა, ფიგურები სათითაოდ გაასწორა და ჩაფიქრდა.

მე ჭადრაკი ბავშვობიდანვე მიყვარდა და მიტაცებდა. შორიდან მოკრძალებით ვუმზერდი მათ თამაშს.

კოტემ მორიდებით ჰკადრა:

— ბატონო ილია, იმდღეანდელის სამაგიეროს გადახდას ხომ არ ინებებთ?

ილიამ არაფერი უპასუხა. პირველი ხუთი სვლა მშვიდობიანად წარიმართა. ილია მძიმედ ირჯებოდა; უბრალო სვლებს დიდ დროს ანდომებდა. დაახლოებით ოცდამეათე სვლაზე ყიფიანმა დაამამათა.

— ჩვენ ყიფიანები ვართ, ყოფილი იტალიელები! აბა, რას გახდებით ჩემთან, თავადო! — დაიწყო ოხუნჯობა კოტე ყიფიანმა.

ილიამ სიტყვის შეუბრუნებლივ აკრიფა თეთრი ფიგურები, დაალაგა დაფაზე და პირველი სვლა

სურათზე: ილია ჭავჭავაძისა და ვასილ მაჩაბელის შეხვედრა. პეტერბურგი, 1873 წ.

გააკეთა. თამაშის დროს, სვლებში, გაჯავრება ეტყობოდა... ეს პარტია უფრო მალე წააგო, ვიდრე პირველი, რაც დიდად ითაკილა. ის იყო მესამედაც უნდა დაეწყო თამაში, რომ თამამმა დიასახლისმა — ლიზამ დაფაზე ფიგურები აურია და ხელში აიტაცა. ილიამ თამაში დათმო. გაშლილი სუფრა უცდიდა სტუმრებს“.

ეს თამამი დიასახლისი გახლდათ გამოჩენილი ქართველი მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ელისაბედ ჩერქეზიშვილი და აი, მეტად საინტერესოა მისი მოგონება ილია ჭავჭავაძეზე, როგორც მოჭადრაკეზე. სხვათა შორის ის ერთგან წერდა: „...ილია აივანზე ჭადრაკს თამაშობდა კოტე მესხთან, ჩვენ გამოჩენილ მსახიობთან. სტუმრები უყურებდნენ მათ თამაშს. ამ დროს უცბად ცა მოიღუშა, მოიღრუბლა, ნისლი შავად ჩამოწვა. გაიელვა, დაიქექა. ილია კი გაშტერებული ჭადრაკს თვალს არ აშორებდა, არც ადგილიდან დაძრულა“.

დიდი ილია დარბაისლურად თამაშობდა ჭადრაკს. უყვარდა ძლიერ მეტოქესთან შებმა. ერთ-ერთი ასეთი მოწინააღმდეგე იყო ვანო მაჩაბელის ძმა, ცნობილი ვეჭილი ვასო მაჩაბელი. ვასო მაჩაბელი სასიქადულო ქართველ მოჭადრაკეს ანდრია დადიანსაც კი შებმია.

1873 წელს საბანკო საქმეებზე პეტერბურგში ყოფნისას, როდესაც ილია და ვანო მაჩაბელი ერთად თარგმნიდნენ „მეფე ლირს“, დიდ პუტი, და ვანოს ძმა ხშირად თამაშობდნენ ჭადრაკს. სწორედ ამის სამახსოვროდ [illegible] ფოტოსურათი ჭადრაკის დაფასთან.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე თბილისში საკუთარ სახლში ხუთშაბათობით წვეულებას მართავდა, გულუხვ მასპინძლობას უწევდა მეგობრებს — ქართული კულტურის მოღვაწეებს. ილიას უახლოესი თანამშრომელი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოლარე-ბუღალტერი ვასო ედილაშვილი იგონებს:

— სტუმრები ჩვეულებრივ ბანქოსა და ნარდის თამაშით ერთობოდნენ. თუ მათ შორის აღმოჩნდებოდა ჭადრაკის მოყვარული, მაშინ ყველაფერს ჭადრაკს ანაცვლებდა და დაიწყებდა გატაცებით თამაშს. მახსოვს ერთხელ დაპატიჟებული ჰყავდა: ნიკო ხიზანიშვილი, გიგო ყიფშიძე, ანტონ ფურცელაძე, კოტე ყიფიანი, ვასილ მაჩაბელი და სხვები. ვიდრე ნადიმი დაიწყებოდა, ილიამ ჭადრაკის თამაში დაიწყო კოტე ყიფიანთან და სულ რამდენიმე სვლის შემდეგ შამათი გაუკეთა. ყიფიანი შეცვალა ვასილ მაჩაბელმა — აქ კი თამაში გაგრძელდა და ბოლოს ყაიმზე შეთანხმდნენ.

პროფესორ რუსუდან ნიკოლაძეს უამბნია ამ სტრიქონების ავტორისთვის, რომ მას ხშირად უნახავს ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის საჭადრაკო პაექრობა. — მამას უყვარდა ილიასთან პაექრობა, — უთქვამს ქალბატონ რუსუდანს. ისინი მშვიდად თამაშობდნენ, ხან შეაჩერებდნენ სვლებს და საუბრობდნენ ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, პოლიტიკურ ამბებზე.

ამ პაექრობა-საუბრებს ხშირად დასწრებიან აკაკი წერეთელი და ვანო მაჩაბელი.

ილია ჭავჭავაძე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს იმდროინდელ საჭადრაკო ცხოვრებას, ბრძოლას მსოფლიო პირველობისთვის. 1893 წელს პეტერბურგში გაიმართა მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მთავარ პრეტენდენტთა — მიხეილ ჩიგორინსა (რუსეთი) და ზიგბერტ ტარაშის (გერმანია) შორის. შეხვედრას დიდი რეზონანსი ჰქონდა.

ილიაც თავის „ივერიაში“ ყოველდღიურად აქვეყნებდა ცნობებს ამ მატჩის მსვლელობის შესახებ. საბოლოოდ ეს ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა. მაშინ ილიამ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი მატჩის შედეგებზე. მან მაღალი შეფასება მისცა გამოჩენილ დიდოსტატთა თამაშს, მათს შემართებას.

„ივერიაში“ სხვა დროსაც დაბეჭდილა ცნობები საჭადრაკო ცხოვრებიდან.

ქართულ ჭადრაკს საამაყოდ აქვს დიდი ილიას სიახლოვე და სიყვარული მამა-პაპათა ბრძნულ თამაშთან.

თენგიზ გიორგაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი, საერთაშორისო არბიტრი.

ხორც გარდაქმნილი ადამიანები, რა გაჰხდომია ამათს განცალკევებას მიზეზი და საბაბი? აი, სხვათა შორის, რა: ქმარს ცოლის და გაულანძღავს; ქმარს თამბაქო უღეჭია, ქმარს თავის ცოლის გიშერა ძაღლისთვის პანჩური ამოუკრავს; ქმარს ცოლისთვის შუბლზედ ბუწუწები აუჭრია; ქმარს რამდენჯერმე უარი უთქვამს და ცოლს თან არ გაჰყოლია სასეირნოდ, ქმარი სახლში შუადამის შემდეგ დაბრუნებულა და ცოლი არ დაუძინებია თავისის ლაპარაკით; ცოლს ქმრისთვის პერანგზედ დუგმა არ დაუკერებია, დილით ადრე არ ამდგარა, ცოლი ხშირად დადიოდა სტუმრად და ოჯახსა და ყმაწვილებზე რიგიანად არ ეჭირა თვალყური და სხ. და სხ.

ქართველებშიაც რომ ყველა ეს მიზეზი საკმარისი იყოს განქორწინებისათვის, მთელს საქართველოში ცოლ-ქმარი ან კი სანთლით იპოვებოდა-ღა სადმე?!.

* * *

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ თამბაქოს ბოლი და საზოგადოდ იმის ხმარება მეტად მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. აი ეხლაც ერთი ინგლისური გაზეთი შემდეგს ამბავს გვაცნობებს მეტის-მეტ თამბაქოს წევით მოწამლულისას. ვიღაცა ვაჭარმა, სავაჭრო საქმეებით დაღალულმა, სახლში დაბრუნებისას რამდენიმე სიგარა მოსწია დაძინებამდე. ის ღამე მოუსვენრად გაატარა, შემდეგ კვლავ სიგარების წევა დაიწყო და ამავე დროს არ უჭამია — რა, მხოლოდ ცოტა-ოდენი ღვინო დალიაო. თორმეტის საათის განმავლობაში ამ კაცმა ორმოცი პაპიროსი მოსწია და თოთხმეტი სიგარა. საღამოზედ უქეიფოდ შეიქმნა და ექიმი დაიბარა. ავადმყოფი დიდად გაჭირვებულს მდგომარეობაში იყო, კუნთების ცახცახი ასტეხოდა, თვალები გაგანიერებოდა, ლაპარაკი უჭირდებოდა და მაჯა სუსტად უცემდა. მთელი სხეული ცივი ჰქონდა და წებოსებურს ოფლს ასხავდა. ცოტ-ცოტა ავადმყოფმა ერთიან დაჰკარგა ცნობიერება და გარდაიცვალა.

თამბაქოს მეტისმეტ ხმარების გარდა, საფრთხილოა აგრეთვე თამბაქოს წევა, იმ ოთახში, სადაც ხორცეულია რამ შენახული. ამ აზრს აშკარად ამტკიცებს ბურრიეს გამოკვლევა. დანაყილს ხორცს რომ კარგა ხანს მოჰხვდეს თამბაქოს ბოლი, გაშავდება, ცუდის შეხედულებისა გახდება და ცხოველიც კი აღარ დაეკარება. ასეთი ნაბოლავი ხორცი მაშინაც კი არ კარგავს საწამლავის თვისებას, თუნდა მოიხარშოს და მოიხრაკოს კიდეც. ბურრიეს მოხარშულიცა და მოუხარშავი ხორციც უჭმევია თაგვებსა და სხვა ცხოველებისათვის და დარწმუნებულა, რომ მოხარშული ხორცი ამ შემთხვევაში

(დასასრული 23-ე გვერდზე)

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ

ᲪᲮᲠᲐ ᲗᲘᲑᲐᲗᲕᲘᲓᲐᲜ ᲛᲖᲔ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲢᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲒᲕᲨᲝᲠᲓᲔᲑᲐ; ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲒᲕᲘᲐᲜ-ᲒᲕᲘᲐᲜ ᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔ ᲩᲐᲓᲘᲡ; ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲓᲦᲔᲪ ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲦᲐᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ. ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢ ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲔ ᲡᲬᲝᲠᲓᲔᲑᲐ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲦᲐᲛᲔᲐ. ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲓᲦᲔ. ᲐᲛ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲓᲐᲜ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ. ᲦᲐᲛᲔ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲡᲭᲐᲠᲑᲝᲑᲡ ᲓᲦᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲝᲠᲛᲔᲢ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲝᲠᲐᲓ ᲛᲔᲢᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲖᲔᲓ. ᲛᲖᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲚᲛᲐᲪᲠᲘᲕ ᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ, ᲡᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔ ᲛᲐᲡ ᲪᲝᲢ-ᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲐᲙᲚᲓᲔᲑᲐ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲐᲗᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲰᲐᲔᲠᲘ ᲪᲘᲕᲓᲔᲑᲐ. ᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ ᲮᲐᲜ ᲘᲡᲔ ᲪᲘᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲘᲪᲕᲐᲡ ᲙᲐᲪᲛᲐ. ᲛᲝᲬᲛᲔᲜᲓᲘᲚ ᲦᲐᲛᲔᲨᲘ ᲜᲐᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲠᲗᲕᲘᲚᲡ ᲒᲐᲐᲒᲓᲔᲑᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲓᲘᲚ-ᲓᲘᲚᲘᲗ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲒᲣᲑᲔᲑᲡ ᲰᲧᲘᲜᲐᲕᲡ. ᲪᲐ ᲛᲐᲚ-ᲛᲐᲚᲔ ᲘᲚᲠᲣᲑᲚᲔᲑᲐ; ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲚᲐᲛᲐᲖ ᲗᲔᲗᲠ ᲦᲠᲣᲑᲚᲔᲑᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ; ᲐᲛᲐᲗ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲒᲣᲚᲡ ᲒᲕᲘᲦᲝᲜᲔᲑᲡ ᲢᲧᲕᲘᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲮᲨᲘᲠᲘ ᲦᲠᲣᲑᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲪᲐᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲝᲠᲓᲔᲑᲐ. ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲬᲕᲘᲛᲐ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲮᲐᲠᲣᲜᲐ ᲬᲕᲘᲛᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲰᲒᲐᲕᲡ. ᲐᲛᲒᲒᲐᲠᲘ ᲬᲕᲘᲛᲐ ᲮᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲐᲓ ᲡᲪᲠᲘᲡ, ᲛᲘᲬᲐᲪ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲨᲠᲔᲑᲐ. ᲛᲗᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲗᲝᲕᲚᲐᲕᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲑᲐᲠᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲗᲝᲕᲚᲡ ᲤᲔᲮᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲣᲙᲘᲓᲜᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲪᲘᲕᲘ ᲥᲐᲠᲘ ᲛᲐᲚ-ᲛᲐᲚᲔ ᲛᲝᲰᲭᲠᲘᲡ.

ᲬᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲣᲚᲨᲘᲕᲔ ᲨᲝᲠᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲓᲐᲤᲐᲪᲣᲠᲓᲜᲔᲜ ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲡᲕᲔ ᲒᲐᲡᲬᲘᲔᲡ ᲗᲑᲘᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ. ᲛᲔᲠᲛᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲠᲘᲒᲐᲓ ᲓᲐᲛᲬᲧᲠᲘᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲠᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲑᲐᲢᲔᲑᲘ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲔᲑ. ᲐᲛᲐᲗ ᲗᲐᲜ ᲒᲐᲰᲧᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲬᲧᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲑᲘ. ᲢᲧᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲭᲐᲚᲔᲑᲘ ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚ-ᲒᲐᲛᲐᲬᲧᲠᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲘᲩᲣᲛᲔ ᲛᲧᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲪᲝᲢᲐ-ᲦᲐ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ.

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲮᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲖᲝᲒᲛᲐ ᲙᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲝᲣᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲨᲔᲰᲧᲕᲐ. ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲑᲐᲦᲔᲑᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲜᲐᲘᲠᲘ ᲛᲡᲮᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲨᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲙᲣᲜᲬᲚᲣᲚᲘ ᲡᲓᲒᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲝᲘᲙᲠᲘᲤᲔᲑᲐ. ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲡ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲛᲬᲘᲤᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲡᲮᲛᲝᲘᲐᲠᲔ ᲖᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲘᲐ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲘᲡ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲦᲝᲜᲓᲔᲑᲐ. ᲮᲔᲔᲑᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ ᲣᲧᲕᲘᲗᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲘ ᲡᲪᲕᲘᲕᲐ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲮᲔᲪ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔᲓ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲥᲕᲐᲒᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲘᲛᲐᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲪ ᲐᲓᲠᲔ ᲣᲧᲕᲘᲗᲚᲓᲔᲑᲐ. ᲦᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲐᲓ ᲐᲧᲠᲔᲕᲘᲜᲔᲑᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲤᲝᲗᲝᲚᲡᲐ, ᲛᲐᲦᲚᲐ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲐᲐᲥᲕᲡ, ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ, ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲡ ᲰᲤᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲐᲜ ᲛᲧᲣᲓᲠᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲤᲝᲗᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲝᲕᲔᲑᲡ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲢᲧᲔ ᲓᲐ ᲭᲐᲚᲐ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲨᲘᲨᲕᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲬᲐᲣᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ

ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲐ, ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲐ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲘᲚᲘᲐ.

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ

ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲮᲔᲓᲝᲗ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘ. ᲐᲠᲪ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲡ ᲑᲐᲚᲐᲮᲡᲐᲪ ᲒᲐᲮᲛᲝᲑᲐ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲰᲠᲔᲕᲘᲐ, ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲕᲔ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲘ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲐᲮᲛᲝᲑᲡ. ᲭᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲑᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘᲕᲔ ᲓᲐᲪᲐᲠᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ: ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘ ᲛᲝᲡᲘᲩᲜᲚ ᲐᲥᲐ-ᲘᲥ ᲧᲕᲘᲗᲚᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲘᲡᲐᲪ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲝᲰᲬᲘᲓᲐᲕᲡ ᲒᲚᲔᲮ-ᲙᲐᲪᲘ. ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲯᲔᲯᲘᲚᲘ ᲬᲕᲐᲜᲔ ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲘᲕᲘᲗ ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲐᲠᲔ-ᲛᲐᲠᲔᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲯᲔᲯᲘᲚᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲦᲔ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲗᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲕᲔ ᲓᲐ ᲗᲝᲕᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲝᲐᲚᲞᲝᲑᲡ. ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲣᲠᲩᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲯᲔᲯᲘᲚᲘ ᲖᲔ

ილია

ილია მონადირე

„მახსოვს — წერდა კოტა აფხაზი, — ერთხელ ალაზანზე წავედით რამდენიმე კაცი სანადიროთ. დავდექით ნომრებზე. ჩემ გვერდით, ცოტა მოშორებით იდგა ილია. ხშირი და დიდი ტყე იყო. ძალლებმა უკვე დაჰყეფეს, როგორც ეტყობოდა კვალს მიაგნეს. გაფაციცებით ველი ნადირს, და არ გავიდა ბევრი ხანი, რომ გამოჩნდა დიდი ირემი, მაგრამ ხეებს ისე იყო მოფარებული, რომ ვერ ვეხროდი; ილიასათვის კი ირემი მეტად მარჯვეთ იდგა.

ველი გულისფანცქალით, რომ აი ეხლა გავარდება ილიას თოფი, ან ეხლა მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. კარგა ხანი გავიდა, იდგა, იდგა ირემი, მერმე ერთი დაიფრუტუნა და გადახტა და გაჰქრა ტყეში. გავჭანდით ილიასკენ, დავუწყეთ ჯავროობა: „კაცო, რა ბჭენი, რატომ არ ეხროლე“. — „უხ! ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი რამ იყო, რომ მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმეტებდიო...“.

ილია და მისი ჯიბე

ილია ახალგაზრდობაში ძალზე უჩიოდა უფულობას, განსაკუთრებით პეტერბურგში სწავლის დროს, ამიტომ მის წერილებში ხშირია ასეთი წუხილი:

„ჩემი ამბავი რა მოგწეროთ? ხომ იცით ჭავჭავაძის სიხუსტე სად არის — ჯიბეში და ისევ ჯიბეში.

უხ! ხანდახან რა უბრძნო ქარიშხალი წამოუბერავს ხოლმე ჯიბით, რა რუსეთული თაგვები შადგებიან ხოლმე ყალუზე თითქო ძალად დაცარიელებულს ჯიბეში.

მაგრამ სასოწარკვეთილებაში კი არ შევალ ხოლმე, ნუგეშს ვიცემ და ამას ვეტყვი ხოლმე ჩემს თავს: ნუ გეშინიან, ერთხელაც იქნება, რომ ჩვენც გაგვიბრწყინდეს მზე მეთქი, და ჩემი თავი ჩვეულებრივ სიცილით მიპასუხებს ხოლმე: პაპაშენიც მაგას ამბობდაო, მაგრამ შენი ჯიბე მაინც არ გათბავო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალთა მთასვლური ლაშქრობის მონაწილენი ბეთლემთან.

ნახატი ჯ. ლოლუასი.

ზოგიერთთა სანუგეშოდ

1849-50 წლები

IV კლასი

თავისუფალი მოსიარულე ჭავჭავაძე ილია:

საგნები	შუალა თვლური	გამოცდა	ფასელა	შენიშვნა
საღვთო სჯული	3	4	4	
რუსული სიტყვიერება	2	2	2	
ქართული ენა	3	5	4	დატოვებული იქნეს იმავე კლასში
თურქული ენა	2	3	3	
მათემატიკა	2	2	2	
გეოგრაფია	3	3	3	
ისტორია	3	2	3	

1853 წ.

VI კლასის თავისუფალი მოსიარულე ჭავჭავაძე ილია

(თბილისის გიმნაზიის საქმე № 110)

საგნები	შუალა თვლური	გამოცდა	ფასელა	შენიშვნა
საღვთო სჯული	2	4	3	ნიჭი ანუ გულისყური — 4
რუსული ენა	5	5	5	
ქართული ენა	5	4	5	ბეჯითობა — 3
ფრანგული ენა	4	4	4	ყოფაქცევა — 4 1/2
ლათინური ენა	3	2	3	
ალგებრა	4	2	3	
გეოგრაფია	2	2	2	
ისტორია	4	4	4	



№ 2.

წელიწადი პირველი

ეკალი

10 მარტ. 1877 წ.

ალეგორიული და სატირიკული ჟურნალი.

გამოდის სითვალათოვით

ალილო ბოდიანა

ისე მავნებელი და მაზარალებელი არ არის, როგორც მოუხარშავიო. რაც უფრო უმად არის ხორცი, მით უმეტეს ითვისებს თამბაქოს ბოლს და ადვილად იბოლება. თამბაქოს ბოლი საზოგადოდ ძალიან ცუდად მოქმედებს სურსათზე, სწამლავს განსაკუთრებით იმისთანა სადგომებში, რომელსაც წმინდა ჰაერი იშვიათად ხვდება. ყველა უნდა უფრთხილდებოდეს ამისთანა სადგომში შენახულს სურსათეულს და არა სჭამდეს, რადგან შეიძლება თამბაქოს ბოლით წახდენილმა საჭმელმა ცუდად იმოქმედოს ადამიანის სხეულზე და დაასნეულოს საღ-სალამათი კაცი.

მკითხველს მოეხსენება, რა ძნელი არის კბილის ტკივილი. ხშირად ამ ტკივილს არა წამალი არა ჰშველის. რა თქმა უნდა, საუკეთესო საშუალება ამ დროს კბილის ამოღებაა, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის მოსახერხებელი და კბილის ტკივილი კი ძნელი ასატანია. შემდეგი სულ უბრალო საშუალება ძლიერ აამებს კბილის ტკივილს. აიღეთ მარილი და გახსენით კარგს კონიაკში. მერე აიღეთ ორი ნაჭერი ბამბა და დაასველეთ მარილგახსნილ კონიაკში; ერთი ნაჭერი უნდა დაედვას დაავადებულს კბილს და მეორე იმ ყურში ჩაიდვას რომლის მხარესაც არის დაავადებული კბილი.

საკერავ მანქანასაც, რასაკვირველია, შესაფერი მოვლა უნდა. ვინც ეს მოვლა არ იცის, მანქანა ხშირად უფუჭდება. კარგად უნდა გვახსოვდეს რომ საკერავი მანქანა უმიზეზოდ არ გაფუჭდება და არ მოიშლება. პირველი მტერი საკერავი მანქანისა მტვერია. ამიტომ მანქანას ხშირად უნდა გაწმენდა. გაწმენდა ასე უნდა: აიღეთ ზეითუნის ზეთი (სხვა ზეთი არ გამოდგება) და ჩაასხით მანქანაში. მერე ჯერ მძიმედ ატრიალეთ მაშინა და თანდათან აუჩქარეთ. თუ მანქანაში ბევრი მტვერია პირველად მანქანიდგან ძლიერ ჭუჭყიანი ზეთი გამოვა. ეს ჭუჭყი მჩვარით მოსწმინდეთ და კიდევ ზეთი ჩაასხით და მანქანა ატრიალეთ. ასე მოიქეცით იმ დრომდე, ვიდრე რაც ჭუჭყია მანქანაში, ზეთი სულ არ გამოიტანს და ბოლოს სუფთა ჩამოვა. თუ ვინიცობაა მანქანა დაჟანგებულია, აიღეთ თანაბრად ზეითუნის ზეთი და ნავთი ერთმანეთში გადაურიეთ, ჩაასხით მანქანაში და ატრიალეთ. მანქანა რომ არ დაჟანგდეს და არ მოიშალოს, საჭიროა, კვირაში ერთხელ ზეითუნის ზეთით გასწმინდეთ და თვეში ერთხელ მაინც ამავე ზეთითა და ნავთით. როცა მანქანას არ ხმარობთ, უეჭველად ხუფი დაახურეთ ხოლმე.



თარაზულად:

5. (გმირი, რომლის შთაგონებითაც დაწერა ი. ჭავჭავაძემ ეს ლექსი).



10. ქალაქი, სადაც ილია მუშაობდა მომრიგებელ მოსამართლედ.

11. კახეთის სოფელი.

12. (ილუსტრაცია ი. ჭავჭავაძის პოემისა „.....)

13. ქართველი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, კაკოს როლის შემსრულებელი ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის“ მიხედვით.

14. პურეული მცენარე.

15. (ქალაქი, სადაც ი. ჭავჭავაძე დაინიშნა გუბერნატორის საგანგებო მოხელედ).

17. მცოხნელი ცხოველი.

18. ბრინჯაო.

19. გზის, დისტანციის ცალკეული მონაკვეთი, უბანი.

23. წელთაღრიცხვის სისტემა.

26. ქართული მითოლოგიის გმირი.

27. პერსონაჟი მოთხრობიდან „გლახის ნაამბობი“.

28. პერსონაჟი მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“.

29. „ჩვენ — შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი . . . . . და უტყუარი“.

31. ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი.

32. საქართველოს კურორტი.

33. შავიზღვისპირა კურორტი.

ᲨᲒᲔᲣᲚᲐᲓ:

1. სახელდახელოდ თქმული ლექსი, ექსპრომტი.
2. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი.
3. ხმელთაშუაზღვის კუნძული.
4. სამოთხე.
6. ტყის ფრინველი.
7. (1888 წ. ჟურნალ „თეატრში“ დაბეჭდილი ილიას პორტრეტის ავტორი).

8.

9.

15. მეცნიერების დარგი.

16. ერთგვარი კანფეტი.

19. „მკრთალი ნათელს სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა“.
(ნაწყვეტი ლექსიდან „. . . . . .“)

20. რიეურაეი, განთიადი.

21. ადამიანთა, ხალხთა გადასახლება ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ.

22. ქართველი მწერალი, რომელსაც ი. ჭავჭავაძემ უძღვნა პოემები „ქართვლის დედა“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

24. (რომელი რედაქცია იყო ამ შენობაში მოთავსებული?).

25. უმწიფარი ყურძენი.

29. საგანგებო დავალება.

30. ქართული გაზეთი, რომელმაც საზოგადოებას ამცნო ილიას მკვლელობის ამბავი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ
ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲥᲣᲠᲓᲝᲕᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲘᲡ **ᲞᲘᲠᲕᲔᲚ** ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: ილიას სახლი საგურამოში.
ფოტო ბონდო დვალიშვილისა.
ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲘᲡ **ᲛᲔᲝᲠᲔ** ᲓᲐ **ᲛᲔᲡᲐᲛᲔ** ᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲖᲔ: ფოტოები ედუარდ გიგილაშვილის არქივიდან.
ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲘᲡ **ᲛᲔᲝᲗᲮᲔ** ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: საგურამო. ილიას კაკლის ხე.
ფოტო ბონდო დვალიშვილისა.
ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ **ᲛᲔᲝᲗᲮᲔ** ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: ფოტო ბონდო დვალიშვილისა.

ᲛᲔ-8 ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲯᲣᲚᲐᲓ: 7. კოალიცია; 8. მენაჯერი; 10. იგავი; 11. კაბენი; 12. ოდილია; 15. ლირა; 17. კაიზერი; 18. „ბაია“; 19. ვერხია; 20. ანჩარი; 24. აბრა; 25. ინსულტი; 26. ოხრა; 29. ილუზია; 30. ალალია; 31. თურდი; 33. ეკვადორი; 34. აბორდაეი.

ᲨᲒᲔᲣᲚᲐᲓ: 1. კომპანია; 2. კიმონო; 3. მითი; 4. „მერი“; 5. იაუნდე; 6. ერუდიცია; 9. გავაზი; 13. კანიონი; 14. გრანიტი; 16. არენა; 18. ბორდო; 21. ობელისკი; 22. იუმორი; 23. ერმიტაეი; 27. მიკადო; 28. ალეგრო; 31. თორა; 32. იაბო.

გადაეცა წარმოებას 30. 07. 87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 09. 87. უე 05993. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50.000. შეკვეთა 1868. ფასი 35 კაპ.
380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42. 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა